ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

ლიკა ბიწაძე, ქეთევან ოდიშარია

თბილისის სახელმწიფო და კერძო უნივერსიტეტების აკადემიური პერსონალის დამოკიდებულება სპეციალური საჭიროების მქონე პირების მიმართ

სოციოლოგიის სამაგისტრო პროგრამა

ნაშრომი შესრულებულია სოციოლოგიის მაგისტრის
აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

სამეცნ. ხელმძღვანელები :

ამირან ბერძენიშვილი

პროფესორი

კახა ქეცბაია

ასოცირებული პროფესორი

თბილისი - 2019

ანოტაცია

ინკლუზიური განათლება საქართველოში განათლების სისტემის რეფორმის ერთ-ერთ პრიორიტეტად 2006 წლიდან იქცა. დღეისათვის განათლების მოცემული მოდელი სახელმწიფო პოლიტიკის აუცილებელი შემადგენელი ნაწილია. მაგრამ როგორც ნებისმიერი სიახლე, სპეციალური საჭიროების მქონე პირთა ჩართვა საგანმანათლებლო სივრცეში მარტივ პროცესს არ წარმოადგენს. კვლევის მიზანი იყო თბილისის სახელმწიფო და კერძო უნივერსიტეტების აკადემიური პერსონალის დამოკიდებულების გაგება სპეციალური საჭიროების მქონე პირების მიმართ. აღნიშნული მიზნის შესაბამისად დაისვა შემდეგი ძირითადი ამოცანები: როგორია აკადემიური პერსონალის დამოკიდებულება ინკლუზიური განათლების მოდელის მიმართ, რა დამოკიდებულება აქვთ უშუალოდ სპეციალური საჭიროების მქონე პირების მიმართ და როგორ აფასებენ ისინი უნივერსიტეტის შიდა პოლიტიკას ინკლუზიური განათლების მოდელის მიმართულებით. კვლევა განხორციელდა ექსპერთა გამოკითხვისა და სიღრმისეული ინტერვიუს მეთოდის გამოყენებით. გენერალურ ერთობლიობას წარმოადგენდნენ ქალაქ თბილისში არსებული კერძო და სახელმწიფო უნივერსიტეტებში დასაქმებული პირები. კვლევამ შემდეგი ძირითადი მიგნებები გამოავლინა : კვლევაში მონაწილე აკადემიური პერსონალის დამოკიდებულება, ინკლუზიური განათლების მოდელის მიმართ არის დადებითი, როგორც კერძო, ასევე სახელმწიფო უნივერსიტეტებისა. მათ აქვთ ინფორმაცია ინკლუზიური განათლების მოდელის შესახებ, თუმცა ინფორმაციულობის დონე განსხვავდება უნივერსიტეტებსა და თვითონ უნივერსიტეტის ფაკულტეტებს შორისაც. კვლევაში მონაწილე, როგორც კერძო, ასევე სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი, თვლის, რომ სპეციალური საჭიროების მქონე სტუდენტები უნდა სწავლობდნენ უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებში, რადგან განათლების მიღების უფლება ნებისმიერი ადამიანისთვის არის კანონით დადგენილი, ამიტომაც მათი აზრით, ნებისმიერი სასწავლებელი უნდა იყოს მზად ყველანაირად, მიიღოს სპეციალური საჭროების მქონე პირი დაწესებულებაში. კვლევამ ასევე აჩვენა, რომ უნივერსიტეტის შიდა პოლიტიკა განსხვავდება არა მხოლოდ სახელმწიფო და კერძო უნივერსიტეტების დონეზე, არამედ სახელმწიფო უნივერსიტეტებს და კერძო

უნივერსიტეტებს შორისაც. თუმცა აღსანიშნავია, რომ სახელმწიფოს აკრედიტაციის პროგრამა მათ თანაბრად ავალდებულებს, სპეციალური საჭიროების მქონე პირების მიღების პირობების შექმნა, საუნივერსიტეტო სივრცეში.

Annotation

Inclusive education has been one of the priorities of education system reforms in Georgia since 2006. Today the model of education is a necessary component of state policy. But as any change, the involvement of people with special needs in the educational space is not a simple process. The aim of the research was to understand the attitude of academic personnel of Tbilisi State and Private Universities toward people with special needs. According to the research purpose, the following main tasks were outlined: what is the attitude of the academic personnel towards the inclusive education model? The attitude towards people with special needs and how they evaluate the internal policy of the university in the direction of the inclusive education. The survey was carried out using an opinion poll of experts and an in-depth interview method. The general unity were people employed in private and state universities in Tbilisi. The following findings have been revealed: the attitude of the academic staff participating in the studying process is positive about the inclusive education model, both in private and state universities. They have information about the model of inclusive education, but the level of information differs from universities and the faculties of the university itself. Private and state university academic personnel believe that students with special needs should study at higher education institutions because the right of education is established by law, so they believe that any university should be prepared to welcome any person with special need. The study also showed that the internal policy of the university differs not only at the level of state and private universities but also between state universities and private universities. However, it is noteworthy that the state accreditation program gives obligation to create conditions for people with special needs in the university area.

სარჩევი

შესავალი 5

I თავი 7

ინკლუზიური განათლება, როგორც სოციალური პრობლემა 7

§1. ინკლუზიური განათლების ცნება 7

§2. ინკლუზიური განათლება განათლების სოციოლოგიური თეორიების თვალსაზრისით ... 8

$3. ინკლუზიური განათლება : პრობლემები და ხედვები 11

II თავი 16

თბილისის სახელმწიფო და კერძო უნივერსიტეტების აკადემიური პერსონალის დამოკიდებულება სპეციალური საჭიროების მქონე პირების მიმართ 16

§1. კვლევის დიზაინი 16

ემპირიულ მონაცემთა განზოგადება და ანალიზი 18

§1. ექსპერტთა გამოკითხვა 18

§2. სიღრმისეული ინტერვიუ 23

დასკვნა 57

გამოყენებული ლიტერატურა: 60

#დანართი1 63

შესავალი

განათლების უფლება ადამიანის ფუნდამენტური უფლებაა, განურჩევლად სოციალური, პოლიტიკური თუ ეთნიკური კუთვნილებისა, იმისდა მიუხედავად თუ რა შესაძლებლობის მქონეა იგი.

დღეს საქართველოში ფართოდ გავრცელდა ინკლუზიური განათლების იდეა, რასაც ხელი განათლების სფეროში მიმდინარე პროცესებმა შეუწყო. ინკლუზიური განთლება ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს საქართველოს განათლებისა და მეცინიერების სამინისტროსთვის. ინკლუზიური განათლების პროგრამა საქართველოში 2006 წლიდან დაიწყო. ნორვეგიის განათლების სამინისტროსთან თანამშრომლობით, ის დახვეწისა და ათვისების პროცესშია.

ინკლუზიური განათლება არის საგანმანათლებლო მიდგომა და იდეა, რომელიც უზრუნველყოფს ყველა ბავშვის თუ მოზარდის ხარისხიან განათლებას ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში, იმის მიუხედავად, თუ რა ფიზიკური, ემოციური, სოციალური, ეთნიკური თუ სხვა მახასიათებელი გააჩნიათ. საინტერესოა, ამ კუთხით რა ვითარებაა ქვეყნის, უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებში, როგორი გარემოა სპეციალური საჭიროების მქონე პირებისთვის შექმნილი, რა დამოკიდებულება აქვს უმაღლესი სასწავლებლების აკადემიურ პერსონალს, სპეციალური საჭიროების მქონე პირების მიმართ.

როგორც ნებისმიერი სიახლე, ინკლუზიური განათლების მოდელიც, სპეციალური საჭიროების მქონე პირთა ჩართვა და საკუთარი თავის რეალიზაცია, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებსა თუ დაწესებულებებში არ წარმოადგენს მარტივ პროცესს. ის საჭიროებს გრძელვადიან მუშაობას და რეგულაციების შემუშავებას. მოდელის სრულყოფილად განხორციელებას სხვადასხვა ბარიერმა შეიძლება შეუშალოს ხელი, ერთ-ერთ მსგავს ბარიერს წარმოადგენს, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით კვლევების სიმცირე, რომელიც დაფუძნებული იქნება ობიექტურ მტკიცებულებებზე და მოსაზრებებზე აღნიშნულ სფეროში. ინკლუზიური განათლების ეფექტურობის ობიექტური შეფასება განაპირობებს სამომავლო კვლევებში ათვლის წერტილის არსებობას, რის შემდგომაც ინკლუზიურ

განათლებაზე მსჯელობა დაფუძნებული იქნება, არა სუბიექტურ, არამედ ობიექტურ მოსაზრებებზე.

დღეისათვის განათლების მოცემული მოდელი სახელმწიფო პოლიტიკის აუცილებელი შემადგენელი ნაწილია. თუმცა აღსანიშნავია, რომ ამ ეტაპზე ის უშუალოდ კონცეტრირებულია ზოგადსაგანმანათლებლო სივრცეში სპეციალური საჭიროების მქონე პირების ჩართვაზე, თუმცა მწირი ინფორმაცია გვაქვს უმაღლეს სასწავლებლებზე, არ არსებობს არანაირი კვლევა იმასთან დაკავშირებით, თუ რა ვითარებაა უმაღლეს სასწავლებლებში, რა დამოკიდებულება აქვს უნივერსიტეტის აკადემიურ სივრცეში დასაქმებულ ადამიანებს სპეციალური საჭიროების მქონე პირების მიმართ, როგორია უნივერსიტეტის შიდა პოლიტიკა ამ საკითხთან დაკაშირებით, რამდენად აქვთ შესაძლებლობა სპეციალური საჭიროების მქონე პირებს საკუთარი შესაძებლობების რეალიზების. მოცემული კვლევა წარმოადგენს საწყისი მონაცემების შეგროვების მცდელობას, იმისათვის, რომ შეგვექმნას შესაძლებლობა, შევაფასოთ უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებში არსებული სიტუაცია და უნივერსიტეტის შიდა პოლიტიკა. ჩვენი კვლევის მიზანია თბილისის სახელმწიფო და კერძო უნივერსიტეტების აკადემიური პერსონალის დამოკიდებულების გაგება სპეციალური საჭიროების მქონე პირების მიმართ. აღნიშნული მიზნის შესაბამისად დაისვა შემდეგი ძირითადი ამოცანები: როგორია აკადემიური პერსონალის დამოკიდებულება ინკლუზიური განათლების მოდელის მიმართ, რა დამოკიდებულება აქვთ უშუალოდ სპეციალური საჭიროების მქონე პირების მიმართ და როგორ აფასებენ ისინი უნივერსიტეტის შიდა პოლიტიკას ინკლუზიური განათლების მოდელის მიმართულებით. კვლევის საწყის ეტაპზე გამოვიყენეთ, თვისებრივი კვლევის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მეთოდი ექსპერტთა გამოკითხვა, ამის შემდეგ, კი კვლევა გაგრძელდა სიღრმისეული ინტერვიუს მეთოდის გამოყენებით, რომელიც წარიმართა კვლევის მიზნებისა და ამოცანების გათავლისწინებით შემუშავებულ სადისკუსიო გეგმაზე დაყრდნობით. გენერალურ ერთობლიობას თბილისის კერძო და სახელმწიფო უნივერსიტეტების აკადემიური პერსონალი წარმოადგენდა.

I თავი

ინკლუზიური განათლება, როგორც სოციალური პრობლემა

§1. ინკლუზიური განათლების ცნება

ინკლუზიური განათლება გულისხმობს განათლების სისტემის მუდმივი გაუმჯობესების პროცესს, რომლის მიზანს წარმოადგენს განათლების სისტემის ღიაობისა და მოქნილობის მიღწევა. ინკლუზიური გნათლება ცნობს განათლების მიღების საყოველთაობის უფლებას და ცდილობს ისეთი სასწავლო გარემოს შექმნას, რომელშიც ნებისმიერ ადამიანს შეეძლება საკუთარი შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოყენება და ხარისხიანი ცოდნის მიღება. ინკლუზიური განთლება ცდილობს საკუთარი მეთოდებით და სასწავლო გეგმებითა თუ გარემოთი მოერგოს ნებისმიერი საჭიროებისა და ნებისმიერი შესაძლებლობის მქონე სტუდენტს. ინკლუზიური განათლება პრობლემას ხედავს თავად განათლების სისტემაში, რომელიც ხისტი და მოუქნელია. სწორედ ამიტომაც ინკლუზიური განთლება გულისხმობს მოქნილი, მრავალფეროვანი და უნივარსალური მიდგომის იდეას *(ინკლუზიური პროფესიული განათლების გზამკვლევი* 2016:7).

ინკლუზიური განათლება არის: ,,მუდმივად ცვლადი მიდგომა, რომელიც დადებითად განიხილავს სტუდენტთა მრავალფეროვნებას და განსხვავებულობაში ხედავს არა პრობლემას, არამედ სწავლების პროცესის გამდიდრების შესაძლებლობას'' (UNESCO, 2005).

ინკლუზიური განათლების არსი იმაში მდგომარეობს, რომ შეიქმნას ისეთი განათლების სისტემა და სასწავლო გარემო, რომელშიც მასწავლებელი მოერგება ნებისმიერი საჭიროების მქონე სტუდენტს, მათთვის შედგენილი სასწავლო გეგმით და მეთოდიკებით. ინკლუზიური განათლება განსხვავდება ,,საშუალო შესაძებლობის სტუდენტზე გათვლილი განათლების მოდელისგან.'' რამდენაც ინკლუზიური განათლება გულისხმობს, თითოეულ სტუდენტზე ინდივიდუალური გეგმის მორგებას. ინკლუზიური განთლების არსებობის შემთხვევაში, დაწესებულება მზადაა

მიიღოს ნებისმიერი საჭიროების მქონე სტუდენტი, არ აქვს მნიშვნელობა რა კულტურულ, სოციალურ, ეთნიკურ და ინდივიდუალურ მახასიათებლებს ფლობს ეს ადამიანი. ამ შემთხვევაში არავის არ ეზღუდება ხარისხიანი განათლების მიღების შესაძლებლობა. რაც უფრო მეტად არის გათვალისწინებული სტუდენტების განსხვავებულობა და მრავალფეროვნება სასწავლო გეგმის შედგენის დროს, მით უფრო მოქნილი და მდიდარია ის და ნაკლებად საჭიროებს სპეციალურ მომსახურებას კონკრეტულ სტუდენტზე. ინკლუზიური განათლება დაუსრულებელი პროცესია, რომელიც სულ უფრო უმჯობესდება და იხვეწება, პრაქტიკებითა და გამოცდილებით *(ინკლუზიური პროფესიული განათლების გზამკვლევი* 2016: 8-9).

§2. ინკლუზიური განათლება განათლების სოციოლოგიური თეორიების თვალსაზრისით

ინკლუზიური განათლება, როგორც უკვე ზემოთ აღვნიშნეთ, გულისხმობს განათლების სისტემის ისეთ მოდელს, რომელშიც გათვალისწინებული იქნება თითოეული ინდივიდი, მათი განსხვავებულებისა და მრავალფეროვნების გათვალისწინებით და ნემისმიერი საჭიროების მქონე სტუდენტს შეეძლება განათლების მიღება. ინკლუზიური განათლების მოდელის განხილვისას პარალელის გავლება შეიძლება განათლების ინტერპრეტაციულ თეორიებთან, რომლებიც განათლების მაკროსოციალური თეორიებისგან განსხვავებით სოციალურ ფაქტებს განიხილავს არა როგორც ობიექტურ სოციალურ წესრიგს, არამედ ინტერპრეტაციული თეორიებისთის სოციალური ფაქტები დამოკიდებულია აქტორზე. ამ თეორიული კონცეფციის მიხედვით: ,,განათლება აქტორზე დამოკიდებულია სოციალური ფაქტია'' (ქეცბაია, კ. 2014: 203).

ინტერპრეტაციული თეორიების მეშვეობით ყურადღების ცენტრში ყოველდღიური სასწავლო პროცესები მოაქციეს, რომელშიც გათვალისწინებულია სასწავლო პროცესის წვრილმანი ფაქტები თუ მოვლენები. ინტერპეტაციულმა

თეორიებმა შექმენს იმის შესაძლებლობა, რომ შეესწავლათ ისეთი საკითხები, როგორიც არის მასწავლებელთა მოლოდინები მოსწავლეთა მოსალოდნელი მიღწევების შესახებ, ასევე ამ თეორიების მეშვეობით გამოვლინდა სასკოლო ნიუანსები, ჩამოყალიბდა სხვადასხვა კონცეფციები, სკოლის, როგორც ტოტალური ორგანიზაციის შესახებ. ინტერპრეტაციული სოციოლოგიური თეორების ამოსავლი პრინციპები განათლების შესახებ შემდეგში მდგომარეობს: პირველი, ეს არის **ყოველდღიური საქმიანობის ანალიზი,** რომელიც გულისხმობს იმას, თუ როგორ აისახება საზოგადოებრივი ცხოვრების ნებისმიერი ასპექტი ადამიანთა ყოველდღიურ ცხოვრებაზე. მეორე პრინციპი არის **პიროვნული თავისუფლება,** რაშიც ნაგულისხმევია ის ფაქტი , რომ ყოველდღიურობა ყოველთვის შეიცავს თავისუფლების ელემენტებს და ის სოციალური ინსტიტუტების მიერ არ არის თავს მოხვეული ინდივიდებისთვის. მესამე პრინციპი არის **საზრისი,** იმისათვის რომ ჩავწვდეთ აქტორთა ყოველდღიურ მოქმედებებს, საჭიროა გავიგოთ თუ რა საზრისები აქვთ ჩადებული მათ მოქმედებაში. მეოთხე პრინციპი ეხება **ინტერაქციას,** რამდენადაც ყოველდღიური ცხოვრება სწორედ აქტორთა ინტერაქციის პროცესშო ყალიბდება. მეხუთე პრინციპი გულისხმობს **მოლაპარაკებებს,** რომელიც ხანგრძლივი და მრავალჯერადი პროცესია, ამ დროს შეისწავლება აქტორთა ქცევა თუ მოქმედებები, ასევვე საზრისები და ინტერპრეტაციები. მეექვსე პრინციპი არის **სუბიექტივიზმი,** ამ დროს მკვლევარი ცდილობს გაარკვიოს აქტორის საზირი, რომლითაც ის განსაზღვრავს ამა თუ იმ სიტუაციას (ქეცბაია, კ. გვ. 204-205)

ახლა კი განვიხილოთ ის სამი ძირითადი მიმართლება, რომლითაც არის წარმოდგენილი განათლების ინტერპრეტაციული სოციოციოლოგიური თეორიები:

- პირველი, **სიმბოლური ინტერაქციონიზმი**, რომელიც დამყარებულია შემდეგ პოსტულატებზე: თუ როგორ ახდენენ აქტორები გავლენას სიტუაციებსა და მოვლენებზე, მასში ჩადებული საზრისებისგან დამოუკიდებლად.
- **ეთნომეთოლოგია** - ამ თეორიის წარმომადგენლები ყურადღებას ამახვილებენ ყოველდღიურობაში გამოყენებულ პროცედურებზე. ცდილობენ ახსნან აქტორთა მიერ კონსტრუირებული სოციალური

რეალობები. ეთნომეთოდოლოგებისთვის მნიშვნელოვანია საზრისების გაგება და ისინი დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ სუბიექტივისტურ მეთოდს.

- **ფენომენოლოგია** - ამ თეორიისთვის მნიშნელოვანია ის, თუ რა ცოდნას ფლობენ აქტორები სიტუაციის შესახებ და ის თუ როგორ გამოავლენენ ისინი სიტუაციის შესახებ ცოდნას. თეორია ყურადღებას ამახვილებს სუბიექტზე და იმ პროცესებზე, რომლებსაც შეუძლიათ მათზე გავლენის მოხდენა (ქეცბაია, კ. გვ. 206-214)

აქვე განვიხილოთ განათლების ფუნქციონაისტური თეორია და ამ თეორიის კლასიკოსი ემილ დიურკემი. განათლება, **ფუნციონალისტური თეორიის** კლასიკოსის ემილ დიურკემის მიხედვით, საზოგადოეაბაში პოზიტიურ ფუნქციას ასრულებს, რაშიც დიურკემი გულისხმობს შემდეგს, რომ განათლების არსი აღზრდაა, რითაც ხდება საზოგადოებაში გაბატონებული კულტურული ელემენტების თაობიდან თაობაზე გადაცემა. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ დიურკემის აზრით, ბავშვების აღზრდა სოციუმისთვის დამახასიათებელი კულტურული ღირებულებებისა და ელემენტების მქონე არსებებად უწყობს ხელს სცოიალური წესრიგის შენარჩუნებას (ქეცბაია, კ. გვ:144).

ინკლუზიური განათლების მოდელი ყურადღების ცენტრში აქცევს ინდივიდს, არა აქვს მნიშვნელობა თუ რა საჭიროების თუ შესაძლებლობის მქონეა. ამ მოდელის მიხედვით ყველას აქვს უფლება მიიღოს განათლება და მათ ამის შესაძლებლობა უნდა ჰქონდეთ. როგორც ზემოთ ხსენებული თეორიები, იქნება ეს ინტერპრეტაციული, ფენომენოლოგიური, ეთნომეთოდოლოგიური თუ ფუნქციონალური თეორიები, ინკლუზიური განათლებაც ყურადღების ცენტრში აქცევს სუბიექტს, იმ სოციალურ პროცესებსა თუ გარემოს, როლებიც ზემოქმედებენ ინდივიდზე.

§3. ინკლუზიური განათლება : პრობლემები და ხედვები

საქართველოს კონსტიტუციით განათლების მიღება და განათლების არჩევანის თავისუფლება ყველა მოქალაქისათვის არის გარანტირებული. მოქალაქეებს აქვთ უფლება, რომ მიიღონ სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული პროფესიული და უმაღლესი განათლება კანონით გათვალისწინებული წესისა და მოცულობის შესაბამისად. სახელმწიფო კი ვალდებულია კანონით დადგენილი წესის ფარგლებში მხარი დაუჭიროს საგანმანათლებლო დაწესებულებებს. საქართველოს კანონი ,,ზოგადი განათლების შესახებ'' აღიარებს ზოგადი განათლების და მათ შორის ინკლუზიური განათლების ყველასთვის ხელმისაწვდომობას. საგანმანათლებლო დაწესებულებები ვალდებულნი არიან, რომ შექმნან ზოგადი და სპეციალური განათლების პროგრამები განსაკუთრებული საჭიროების მქონე ბავშებისთვისათვის. აღნიშნული კანონი ინკლუზიურ სასწავლო პროგრამებს ეროვნული სასწავლო გეგმის ნაწილად განიხილავს, რომელიც სპეციალური საჭიროების მქონე ბავშვებისთვის არის განკუთვნილი (*შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვები საქართველოში,* 2015: 22).

ინკლუზიური სწავლების ხელშეწყობის პროგრამის მიხედვით, 1994 წლიდან დაიწყო ცვლილებები სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე ბავშვების განათლების სფეროში, არასამთავრობო სექტორის მიერ. მაგრამ ეს საკითხი კვლავ ყურადღების მიღმა რჩებოდა სახელმწიფოს. მხოლოდ 2004 წლიდან იქნა აღიარებული პრიორიტეტად სპეციალური საჭიროების მქონე პირთა განათლების საკითხი, რადგან ამ წელს დაიწყო განათლების სისტემის რეფორმა. ინკლუზიური განთლების დანერგვას საქართველოში მნიშვნელოვანი ფინანსური და მეთოდოლოგიური დახმარება ნორვეგიის მთვარობამ გაუწია. ინკლუზიური განათლება საქართველოში განათლების სისტემის რეფორმის ერთ-ერთ პრიორიტეტად 2006 წლიდან იქცა. დღეისათვის განათლების მოცემული მოდელი სახელმწიფო პოლიტიკის აუცილებელი შემადგენელი ნაწილია. როგორც ნებისმიერი სიახლე, სპეციალური საჭიროების მქონე პირთა ჩართვა საგანმანათლებლო სივრცეში მარტივ პროცესს არ წარმოადგენს.

ინკლუზიური განათლებაზე საუბრისას, საყურადღებოა ნაშრომი, რომელიც მომზადდა Erasmus + DARE პროექტის ფარგლებში. ამ ნაშრომის მიზანია ინფორმაციის გავრცელება იმის შესახებ, რომ ERASMUS + პროგრამა ითვალისწინებს, შესაძლებლობების მაქსიმალურად განვითრებას. რომ მრავალფეროვნება და ჩართულობა ძალიან მნიშვნელოვანია, ERASMUS + პროგრამის მიზანია სტუდენტური წარმატების ხელშეწყობა, განმავითარებელი პროგრამები, სპეციალური საჭიროების მქონე სტუდენტებისთვის, ნებისმიერი რეგიონის უმაღლეს სასწავლებლებში. ნაშრომში ხაზგასმულია ის ფაქტი, რომ ინკლუზიური განათლება აროს საყოველთაოდ აღიარებული, როგორც ადამიანის ცენტრალური უფლება და იმისთვის, რომ უმაღლეს სასწავლებლებში ეს იქნას გათვალისწინებული საჭიროა უფრო მეტი მოქმედება და მეტი ყურადღების გამახვილება ამ საკითხზე. ხაზგასმულია, უმაღლესი განათლების მნიშვნელობა, ნებისმიერი საჭიროების მქონე პირებისთვის, რადგანაც უმაღლესი განათლება იძლევა შესაძლებლობას, ინდივიდმა მაქსიმალურად განავითაროს საკუთარი შესაძლებლობები და შეძლოს საკუთარი თავის რეალიზება. ნებისმიერ ადამიანს აქვს უფლება მიიღოს განათლება და უმაღლესი სასწავლებლები უნდა ითვალისწინებდნენ სტუდენტთა მრავალფეროვნებას (DARE, Published by the European Access Network, UK © 2018 European Access Network”).

DARE -ის ძირითადი მიზანია, გაიზარდოს უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობა. ამ პროექტის ძირითად სამიზნე ჯგუფებს წარმოადგენენ : სტუდენტები, რომლებსაც აქვთ ფიზიკური შეზღუდვა ან სწავლების სირთულეები, სტუდენტები, რომლებიც უმცირესობებს წარმოადგენ და სტუდენტი ქალები. DARE, სწორედ, ამ სამი მიზნის მიღწევაზეა ორიენტირებული და ეს ხდება: სტუდენტური დახმარების სამსახურის მეშვეობით, ასევე სხვადასხვა ფაკულტეტებისა და პერსონალის დატრენინგებით. ხელმისაწვდომი ხდება შერეული და ონლაინ სწავლების მოდელი. DARE- მა სამი დონის გავლენა მოახდინა: პრიორიტეტი მიკროდან მაკრო დონეზე, ფოკუსირდა უშუალოდ ინდივიდებზე, ინსტიტუტებზე და ეროვნულ ორგანოებზე (DARE, Published by the European Access Network, UK © 2018 European Access Network”).

საინტერესოა, რა ვითარებაა ამ საკითხის ირგვლივ, ისეთ განვითარებულ ქვეყნებში, როგორიცაა: ნორვეგია, სლოვაკეთი და შვედეთი. განვიხილოთ კვლევა, რომლის სახელწოდებაც არის ,,შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები უმაღლეს სასწავლებლებში.'' აღნიშნული კვლევის მიხედვით, ინკლუზიური განათლების შესწავლა და ხელშეწყობა ევროპული ქვეყნებისთვის მნიშვნელოვანია. ყურადღება გამახვილებულია სპეციალური საჭიროების მქონე პირებისთვის უმაღლესი განათლების მიღების ხელმისაწვდომობაზე. აქ აღსანიშნავია ერასმუს+ პროგრამები, სადაც ნებისმიერ სტუდენტს, განურჩევლად შესაძლებლობებისა შეუძლია მონაწილების მიღება ამ პროგრამებზე. ამ პროგრამის მიზანია სხვადასხვა შესაძლებლობების მქონე სტუდენტების ადაპტაცია. მაგრამ, აქ საუბარია, ევროპის კონკრეტულ უნივერსიტეტებზე, რომლებსაც საკუთარ უნივერსიტეტებში შესაბამისი გარემო აქვთ შექმნილი. ანუ მზად არიან მიიღონ სპეციალური საჭიროების მქონე სტუდენტები. ამ შემთხვევაში გადამწყვეტ როლს თამაშობს უნივერსიტეტის შიდა პოლიტიკა. ვინაიდან სწორედ მან უნდა უზრუნველყოს, ის სტანდარტები, რომელიც დააკმაყოფილებს სპეციალური საჭიროების მქონე პირთათვის განათლების მიღების შესაძლებლობას (Case studies of inclusive higher education in Norway, Sweden and Slovakia.2018).

ინკლუზიურ განათლებაზე საუბრისას აუცილებელია განვიხილოთ, თუ რა გავლენას ახდენს რასიზმი ინკლუზიური განათლების მოდელზე. ვინაიდან, ბოლო ათწლეულების განმავლობაში, რასიზმი, მსოფლიოს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესიგამოწვევაა და რა საკვირველია, რასიზმი ინკლუზიურ განათლებაზეც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს. რასიზმის მნიშვნელობაზე საუბრისას, განვიხილოთ ერთ-ერთი ნაშრომი სახელწოდებით: „ანტირასიზმი და ინკლუზიური განათლება.'' ამ ნაშრომში დასაწყისში ხასგასმულია ის ფაქტი, რომ თითოეული ადამიანს თანაბარი უფლება აქვს განათლების მიღებასა და განათლების მიღების ხელმისაწვდომობაზე, იმის და მიუხედავად თუ რა შესაძლებლობების მქონეა პირი. ხასგაზმულია ის ფაქტი, რომ განათლება ძალიან მნიშვნელოვანია, ყოველი ადამიანის განვითარებისათვის და თითოულ მათგანს აქვს უფლება მიიღოს

განათლება, და რა თქმა უნდა მას უნდა ქონდეს ამის შესაძლებლობა (*Anti-Racism and Inclusive Education*. Race, Gender & Class. 20011: 39-161) .

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ინკლუზიური განათლების მიმართ ინტერესს დიდი მნიშვნელობა ენიჭება ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში. ამ ქვეყნებში აქტიურად მიმდინარეობს კვლევები ამ საკითხის ირგვლივ. მაგალითად, შეგვიძლია განვიხილოთ იტალიის ერთ-ერთ უნივერსიტეტში ჩატარებული კვლევის შედეგები. მიუხედავად იმისა, რომ ყველა უნივერსიტეტი ღია და მიმღებლურია სპეციალური საჭიროების მქონე პირების მიმართ, კვლევის პროცესში გამოიკვეთა, რომ სწავლების პროცესი და განათლების მიდგომა საჭიროებს გადახედვას და მიმართულებების გაუმჯობესებას, რადგან ეს იმდენად სპეციფიკური და მუდმივად გადასახედი საკითხია, რომ შეუძლებელია დააკმაყოფილოს ყველა კრიტერიუმი მუდმივი მუშაობის გარეშე. კვლევის მიხედვით, მის კონცეპტუალურ ჩარჩოს უნდა ჰქონდეს შემდეგი ამოცანები: ა) უზრუნველყოს განათლების სირთულის ფუნქციონალური განსაზღვრება - ანუ სრულყოფილად იქნეს შესწავლილი მოდელის თავისებურებები, გამოწვევები და სირთულეები, რადგან უნივერსიტეტის გარემო უწყობდეს ხელს მისთვის დამახასიათებელ ყველა მიდგომას; ბ) ხაზს უსვამს სირთულეების არსებობას და განათლების სისტემის გადახედვის აუცილებლობას - ინკლუზიური განათლების სისტემას აქვს ის მახასიათებლები, რომელიც გარკვეულ სირთულეებს წარმოქმნის, მაგალითად შესაბამისად ადაპტირებული გარემოს არსებობა, სწავლებისთვის განკუთვნილი პედაგოგების მომზადება და ა.შ. ინკლუზიური განთლება არის სისტემური ხასიათი, ეკოსისტემის მსგავსად, სადაც ყველაფერი ერთმანეთს უნდა უკავშირდებოდეს, ავტორის თქმით ციფრული განათლება სწორედ, რომ რელობას შეცვლის და გაადვილებს ახალ გარემოში გადასვლის პროცესს წარმოადგენს, რომელიც შეამცირებს სირთულეებსა და განვითარების შესაძლებლობების ზრდის პირობებს (*For an inclusisive innovation*. Springer Berlin Heidelberg. 2018)

საინტერესოა, განვიხილოთ თუ რა ვითარებაა ფაკულტეტების მიხედვით, უმაღლეს სასწავლებებლებში, ინკლუზიური განათლების მიდგომის მიმართ, იკვეთება თუ არა განსხვავევბები ფაკულტეტების მიხედვით, რა დამოკიდებულება აქვთ ამ მოდელის მიმართ, სხვადასხვა სპეციალობის მქონე პედაგოგებსა თუ იმ

პირებს, რომლებიც დასაქმებულნი არიან საუნივერსიტეტო სივრცეში. როგორია მათი დამოკიდებულება უშუალოდ სპეციალური საჭიროების მქონე პირების მიმართ. მაგალითად განვიხილოთ, არაბეთის უნივერსიტეტში ჩატარებული კვლევა, რომლის მიზანიც იყო დაენახვებინა განსხვავება ფაკულტეტების მიხედვით. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ხსენებულ უნივერსიტეტში არსებობს სტუდენტებზე ორიენტირებული სწავლების კონცეფცია (SCL), ამ კონცეფციის დანერგვამ კი მნიშვნელოვანი ცვლილებები განაპირობა, სხვადასხვა ფაკულტეტის პედაგოგების განვითარების კუთხით. ისინი განსხვავებულ მიდგომებს იყენებენ. რამაც განსხვავებული შედეგი მოიტანა, აღინიშნებოდა საინჟინრო, მეცნიერების და ტექნოლოგიების კუთხით სტუდენტების დეფიციტი. რის გამოც შეიმუშავეს ახალი მიდგომა, STEM კლასების ფუნქციონირება, რაც გულისხმობდა აქტიურ სწავლებას, გუნდებში ერთობლივ სწავლებას, ტექნოლოგიების გაძლიერებულ სწავლებას და გამოკითხვის საფუძველზე შესწავლას. ხსენებული კვლევის საფუძველზე შეგვიძლია ვთქვათ, რომ პედაგოგების მიღწევები საკმაოდ მაღალია, ისინი უფრო მეტად მიმღებლები გახდნენ. ისინი მუდმივად ცდილობენ სიახლეების შემოტანას, სტუდენტების რაოდენობის გაზრდის მიზნით და მათი ინტეგრაციისთვის. ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანი, ის ფაქტი, რომ მიუხედავად უმაღლესი დაწესებულებისა, მნიშვნელოვანი ცვლილებები მიმდინარეობს, ხდება ლექტორების დატრენინგება და ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება. იმისთვის, რომ დაწესებულებამ შესძლოს და მისცეს ყველა ადამიანს განათლების შესაძლებლობა, განსხვავებულობის და მიუხედავად (University faculty’s perceptions and practices of student centered learning in Qatar. 2018: 514-533).

ჩვენი კვლევის მიზანს კი წარმოდადგენს, თბილისში არსებული კერძო და სახლემწიფო უნივერსიტეტების მაგალითზე დაყრდნობით გავიგოთ, აკადემიური პერსონალის დამოკიდებულება ინკლუზიური განათლების მოდელის მიმართ, ასევე მათი დამოკიდებულება სპეციალური საჭიროების მქონე პირების მიმართ. მნიშვნელოვანია უნივერსიტეტების შიდა პოლიტიკის გაგებაც, რაც ხშირ შემთხვევაში გადამწყვეტ როლს თამაშობს, აკადემიური პერსონალის დამოკიდებულებაზე.

II თავი

თბილისის სახელმწიფო და კერძო უნივერსიტეტების აკადემიური პერსონალის დამოკიდებულება სპეციალური საჭიროების მქონე პირების მიმართ

§1. კვლევის დიზაინი

სამაგისტრო ნაშრომის ფარგლებში, კვლევის ძირითად მიზანს წარმოადგენს, იმის გაგება, თუ რა დამოკიდებულება აქვთ თბილისის კერძო და სახელმწიფო უნივერსტიტების აკადემიურ პერსონალს სპეციალური საჭიროების მქონე პირების მიმართ. როგორია აკადემიური პერსონალის დამოკიდებულება ინკლუზიური განათლების მოდელის მიმართ. რა დამოკიდებულება აქვთ სპეციალური საჭიროების მქონე სტუდენტების მიმართ. როგორ აფასებენ ამჟამინდელ მდგომარეობას (სასწავლო პროცესს) უნივერსიტეტებში და უნივერსიტეტის შიდა პოლიტიკას ინკლუზიური განათლების მიმართულებით.

კვლევის თემიდან გამომდინარე არჩრეულ იქნა თვისებრივი კვლევის მეთოდი. კვლევის საწყის ეტაპზე გამოვიყენეთ ექსპერტთა გამოკითხვა. აღნიშნული კვლევის ფარგლებში გამოვიკითხეთ 3 ექსპერტი. ამ მეთოდის გამოყენების შემდეგ, კვლევა გაგრძელდა, სიღრმისეული ინტერვიუს მეთოდის მეშვეობით, ვინაიდან ეს მეთოდი ყველაზე მეტად შეესაბამება საკვლევ თემას. კვლევის პროცესში გამოყენებული იქნა სხვადასხვა პროექციული ტექნიკა (სიჩუმე, ექო, განაცხადი და სხვ.), იმისათვის, რომ რესპონდენტებში მეტი გულახდილობა გამოგვეწვია, რათა საკითხი მაქსიმალურად ღრმად შეგვესწავლა. კვლევაში მონაწილეობა მიიღო თბილისის სხვადასხვა უნივერსიტეტში მომუშავე აკადემიურმა პერსონალმა. კვლევაში მნიშვნელოვანი ფაქტორია ადგილის შერჩევა, ის წყნარ ადგილას უნდა ჩატარდეს, რათა ხელი არ შეუშალოს ინტერვიუს წარმართვის პროცესს. ჩვენი რესურსებიდან გამომდინარე ყველაზე ოპტილაური ვარიანტი არის უნივერსიტეტის აუდიტორია, აქედან გამომდინარე კვლევა ჩატარდა უნივერსიტეტის აუდიტორიაში. სიღრმისეული

ინტერვიუ წარიმართა სადისკუსიო გეგმაზე დაყრდნობით, რომელიც მოიცავდა წინასწარ მონახაზს კითხვებისას, რომელზე დაყრნობიდაც წარიმართა ინტერვიუ. ინტერვიუს პროცესში მეთოდის უპირატესობიდან გამომდინარე შეგვიძლია წინ წამოვწიოთ და განვავითაროთ ახალი თემები, რომლებიც აქტუალურია გამოკვლევისთვის.

კვლევის ფარგლებში სულ 15 სიღრმისეული ინტერვიუ ჩატარდა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ რესპონდენტები წინასწარ იყვნენ გაფრთხილებულნი, რომ ინტერვიუს პროცესის ჩაწერა მოხდებოდა აუდიო ფირის მეშვეობით, რათა ტრასკნრიპტის გაკეთების დროს არ დაკარგულიყო მნიშვნელოვანი ინფრომაცია.

ემპირიულ მონაცემთა განზოგადება და ანალიზი

§1. ექსპერტთა გამოკითხვა

კვლევის საწყის ეტაპზე გამოვიყენეთ თვისებრივი კვლევის ერთ-ერთი მეთოდი ექსპერტთა გამოკითხვა. კვლევის ფარგლებში გამოვიკითხეთ 3 ექსპერტი. ექსპერტთა ინტერვიუირების შედეგად, ჩვენთვის, როგორც მკვლევრებისთვის ნათელი გახდა საკითხის არაერთი სპეციფიკური მხარე.

გამოვიკითხეთ ოსოს უნივერსიტეტის ინკლუზიური განათლების ფილოსოფიის მაგისტრი. რომელმაც ჩვენთან საუბრისას აღნიშნა, რომ ინკლუზიური განათლება ეს არის საქართველოს პოლიტიკის ნაწილი, რომელიც ასახულია, როგორც განათლების სისტემაში, ასევე ზოგადი განათლების შესახებ კანონში და პროფესიული განათლების შესახებ კანონის ახალ დრაფტ ვარიანტში. ის ფიქრობს, რომ უმაღლესი განათლების შესახებ კანონი დასახვეწია, რათა სხვადასხვა საჭიროების მქონე პირებს უნივერსიტეტში ჩარიცხვის საშუალება მიეცეთ, ნებისმიერი უნივერსიტეტის აკრედიტაციის გავლა ითვალისწინებს სპეციალური საჭიროების მქონე პირებისთვის განათლების მიღებას, რაც პირველ რიგში გულისხმობს სასწავლებლებში ელემენტარული პირობების შექმნას, იქნება ეს პანდუსები, სველი წერტილი თუ სხვა. სხვა ღონისძიებები უნივერსიტეტის დონეზე ამჟამად არ არის რეგულირებულო. აქვე აღნიშნავს, რომ ინკლუზიური განათლება სახელმწიფოს ერთ-ერთი პრიორიტეტია და მას აქვს მყარი საფუძველი საკანონმდებლო ბაზაში. რაც შეეხება პრაქტიკას, პროფესიული განათლების დონეზე, ეს არის პროფესიული განათლების მობილობის და ორიენტაციის ტრენერები, ჟესტური ენის თარჯიმნებიც, სახლში ტრანსპორტირება, მაგრამ ეს სკოლის დონეზე არ ხორციელდება. არსებობს 4 პროფესიული სასწავლებელი, რომელიც უნივერსალური დიზაინის პრინციპით მოწყობილი. აქვე სკოლებსაც რომ შევეხოთ, ყველა სკოლა არ არის უზრუნველყოფილი საჭირო ფიზიკური გარემოთი, მაგრამ ახალი სკოლები, რომლებიც შენდება 51-ე დადგენილების შესაბამისია, ადაპტირებულია. ხოლო ძველ სკოლებში მოთხოვნის შესაბამისად, ინფრასტრუქტურის სამსახური "სიპი" ახორციელებს რეკონსტრუქციას,

მინიმუმ შეღწევადი რომ გახდეს სკოლა, რომ იყოს შენობაში პანდუსი და სველი წერტილი. აქედან გამომდინარე ის ასკვნის, რომ განათლების პოლიტიკა და პრაქტიკა ნელ-ნელა იხვეწება და წინ მიდის.

ეროვნული სასწავლო გეგმა, აღნიშნული ექსპერტის აზრით, ამ ეტაპზე არეგულირებს ინკლუზიური განათლების პრაქტიკის ნაწილს, რამდენადაც განსაზღვრავს ინკლუზიური განათლების ძირითად პრინციპებს, აღნიშნავს რომ ამ ეტაპისთვის, რასაც განათლების სისტემა ითვალისწინებს საკმარისია, თუმცა ფიქრობს, რომ მისი დახვეწა შესაძლებელია. აღნიშნული რესპონდენტის თქმით, სახელმწიფოს გამოყოფილი აქვს გარკვეული ბიუჯეტი, მაგრამ რა თქმა უნდა ეს საკმარისი არ არის, რადგან ერთი სპეციალური საჭიროების მქონე ბავშვის დაფინანსება 3-ჯერ უფრო მეტი ჯდება, ვიდრე რიგითი ბავშვის, რამდენადაც მას სჭირდება დამატებითი რესურსები, მეტი თვალსაჩინოება, მეტი ადამიანური რესურსი, მასწავლებლების კომპეტენციის მეტად გაღრმავება და ა.შ. ის ამბობს, რომ 2008 წელთან შედარებით, დღესდღეობით მეტი ბიუჯეტია გამოყოფილი, მაგრამ ესეც არ არის საკმარისი. ინკლუზიური განათლების მომავალს ხედავს მისი ხარისხის გაუმჯობესებაში: ,,მეტი მექანიზმების ამუშავებაა საჭირო, ასევე სტიგმების დაძლევა, ამისთვის კი უპირველესად საჭიროა სტატისტიკის განსაზღვრა, თუ რამდენ ბავშვს ესაჭიროება სპეციალური განათლება, რაც ამ ეტაპზე არ მოგვეპოვება.''

ასევე გამოვიკითხეთ, პედაგოკიკის მეცნიერებათა დოქტორი, ფსიქოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის, განათლების დეპარტამენტის ხელმძღვანელი და ამავე დეპარტამენტის პროფესორი. რომელიც აღნიშნავს, რომ ინკლუზიური განათლება თავისი არსით ძალიან მნიშვნელოვანია, ის არის პროგრესიული მიდგომა განათლების პროცესისადმი, რამდენადაც იყო დრო ისტორიაში, როდესაც მხოლოდ გვაროვნული წარმომავლობით შეეძლოთ განათლების მიღება, მაგრამ შემდეგ ეპოქებში განათლების მიღება გახდა შესაძლებელი და ხელმისაწვდომი. საუბრობს ინკლუზიური განთლების დადებითი და უარყოფითი მხარეების შესახებ პრაქტიკაში, დადებითი მხარე არის ის მზრუნველობითი გარემო, რომელიც უნდა გამოუმაშავდეს ჩვეულებრივ ბავშვს მზრუნველობა მოკლებული ბავშვის მიმართ, რათა გაჩნდეს ჯანსაღი დამოკიდებულება. ინკლუზიური განათლებაში ხდება რანჟირება იმისა, თუ

რის მიხედვითაა ინკლუზიური. არსებობს სხვადასხვა ტიპის ინკლუზია, ყველაზე რთული ჯგუფი კი ინტელექტუალური ინკლუზიის მქონე ბავშვებია.

პედაგოკიკის მეცნიერებათა დოქტორი, აღნიშნავს, რომ ქვეყანაში არ ხდება პროფესორ-მასწავლებლების შესაბამისად გადაკვალიფიცირება, ის რაც ამ ეტაპზე ხორციელდება არ არის საკმარისი, რაც გარკვეულწილად აფერხებს ინკლუზიური განათლების მოდელის ეფექტურად განხორციელებას. აღნიშნული ექსპერტი პრობლემას ხედავს, იმაში, რომ სპეციალური საჭიროების მქონე პირებს არ აქვთ ხელმისაწვდომობა განათლებაზე, რამდენადაც არ არსებობს ადაპტირებული საგანმანათლებლო დაწესებულებები. ქვეყნის დედაქალაქშიც კი მცირეა იმ საგანმანათლებლო დაწესებულებების რაოდენობა, რომლებშიც მათ განათლების მიღება შეუძლია, რეგიონებზე რომ არაფერი ვთქვათ. სკოლების საფეხურზე შიძლება ითქვას, რომ გარკვეულწილად გადალახულია ბარიერები, მაგრამ საუნივერსიტეტო დონეზე ამის თქმა რთულია, ალბათ მხოლოდ თითზე ჩამოსათვლელი იქნება უნივერსიტეტების ის რაოდენობა, რომელიც აკმაყოფილებს ელემენტარულ სტანდარტებს.

პედაგოკიკის მეცნიერებათა დოქტორის თქმით, ინკლზიური განათლების წარმატებით განხორციელებისთვის საჭიროა ძალიან დიდი ფინანსები, ასევე პროფესიონალიზმის გაღრმავება და მონდომებაა საჭირო.

ამავე კვლევის ფარგლებში გამოვიკითხეთ, ნეიროფსიქოლოგი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, ფსიქომეტრიული და საკონსულტაციო ასოციაციის წევრი. ექსპერტი დასაწყისშივე აღნიშნავს, რომ ინკულუზიური განთლება ძალიან სპეციფიკური თემაა და უჭირს საუბარი იმაზე, უშუალოდ ემხრობა თუ არ ემხრობა, ინკლუზიური განათლების მოდელის დანერგვას.

ნეიროფსიქოლოგი აღნიშნავს, რომ ინკლუზიური განათლება ეს არის მიმართულება, რომელიც არც თუ ისე დიდი ხანია რაც დაიწყო და მათი ორგანიზაცია, ფსიქომეტრიული საკონსულტაციო ასოციაცია, რომლის წერვიც გახლავთ თავად, ერთ-ერთი პირველი ორგანიზაცია იყო, ვინც მუშაობდა ამ ბავშვებთან, სანამ ასე ფართომასშტაბიან სახეს მიიღებდა. ნეიროფსიქოლოგის აზრით, ეს არის ერთ-ერთი

აუცილებელი გზა, იმისათვის, რომ მოხდეს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ან სპეციალური საჭიროების მქონე პირთა ინტეგრირება, ,,მაგრამ ძალიან ნატიფი სამუშაოა ჩასატარებელი და ბეწვის ხიდზე ვართ გასავლელები იმისათვის, რომ ეს სწორად მოხდეს და იმისათვის, რომ სწორად გავიგოთ რას ნიშნავს ინკლუზია. ინკლუზია ეს არ არის, რომ იმ ფიზიკურ სივრცეში არსებობდეს ბავშვი სადაც მისი თანატოლები არიან.'' აღნიშნავს, რომ ინკლუზია გულისხმობს არა მხოლოდ შეზღუდულ შესაძლებლობებს, არამედ ზედმეტად განვითარებულ შესაძლებლობებსაც. მაგალითად ბავშვს, რომელსაც აქვს მაღალი ინტელექტი და ინტერესების ფართო სფერო, და არ არის დაინტერესებული იმ მასალით, რასაც სკოლაში ასწავლიან და შეიძლება, ასევე ინკლუზია დაჭირდეს, რომ ჩაერთოს სასწავლო პროცესში. ამ ყველაფრის ხედვა კი უნდა იყოს ფართომასშტაბიანი, ეს ერთი ასპექტი, მეორე კი არის ის, რომ ინკლუზიური განათლების სწორად განხორციელებას სჭირდება არა მარტო სწორი ხედვა ფილოსოფიის, არამედ ძალიან დიდი ფინანსები და ამ სფეროში სანახევროდ გაკეთბული საქმე არის გაფუჭებული როგორც ის აღნიშნავს. ასევე მიუთითებს, იმაზეც, რომ საჭიროა პროცესის ორგანიზებება, რასაც სჭირდება ძალიან დიდი ფინანსები, რაც ქართულ საგანმანათლებლო სისტემას არ აქვს. მისი თქმით, სწორედ ამიტომ არის, რომ წარმატებულ შემთხვევებთან ერთად დაგროვდა წარუმატებელი შემთხვევები, მაგალითად, როდესაც ინკლუზიური განათლება არ არის მიზანშეწონილი ჩვეულებრივ საჯარო სკოლაში, როცა ეს არ არის მიზანშეწონილი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვისთვის, რადგან ამან შეიძლება ზიანი მოუტანოს სპეციალური საჭიროების მქონე პირს. უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ აღნიშნული ნეიროფსიქოლოგი რადიკალური ინკლუზიის მომხრე არ არის, რამდენადაც მისი აზრით, მძიმე ინკლუზიის მქონე ბავშვების ყოფნა სკოლაში დანაშაულიც კია, ვინაიდან მას ესაჭიროება სპეციფიკური გარემო და დატრენაჟებული მასწავლებლები, ასევე შეიძლება სანიტარული მომსახურებაც კი დასჭირდეს.

ის ასევე საუბრობს პროფესიული განთლების უფრო მეტად განვითარების შესაძლებლობლობის გზებზე, რამდენადაც შეიძლება ადამიანს არ გააჩნდეს ინტელექტუალური რესურსი, მაგრამ პროფესიას დაეუფლოს წარმატებით. ამიტომაც დადებითად აფასებს ამჟამინდელ მდგომარეობას, ამაში გულისხმობს სახელმწიფოს

მხარდაჭერას და იმ გამოყოფილ თანხებს, რომლებიც პროფესიული განათლების უფრო მეტად განვითარებისთვის არის გამოყოფილი.

ნეიროფსიქოლოგი თვლის, რომ ეროვნული გეგმა, თავისთავად, გლობალურად ვერ გაითვალისწინებს ინკლუზიურ განათლებას, რადგან საჭიროა ეროვნული სასწავლო გეგმის მოდიფიკაცია, რათა მოერგოს სხვადასხვა საჭიროების მქონე ბავშვს.

ინკლუზიური განთლების მომავალს ხედავს უფრო მეტად პროფესიული განათლებაში. ,,ფინანსები უნდა წავიდეს ამ მიმართულებით, რომ დამხმარე პედაგოგები ჰყავდეთ და ჰქონდეთ რესურს ოთახები. ''

მისი აზრით ინკლუზიური განათლების ასეთმა პროპაგანდამ კარგი შედეგი გამოიღო შემდეგი თვალსაზრისით, რომ მშობლებს მიეწოდათ ინფორმაცია მათი შვილების საჯარო სკოლაში განათლების მიღების უფლებისა და შესაძლებლობების შესახებ, ისინი აღარ არიან იზოლირებული.

ის, ასევე, საუბრობს სახელმწიფოს მიერ განხორციელებულ სასიკეთო ნაბიჯებზე, ინკლუზიური განათლების ხელშეწყობის თვალსაზრისით, მაგრამ აღნიშნავს, რომ საჭიროა უფრო მეტი ფინანსური მხარდაჭერა.

სამივე ექსპერტი მეტ-ნაკლებად დადებითად აფასებს ქვეყანაში მიმდინარე ცვლილებებს, მოცემული თემის ირგვლივ, მაგრამ ერთმნიშვნელოვნად აღნიშნავენ საჭიროა უფრო მეტი მხარდაჭერა სახელმწიფოს მხრიდან, რაშიც გულისხმობენ ფინანსურ რესურსებს.

§2. სიღრმისეული ინტერვიუ

კვლევის ფარგლებში გამოვიყენეთ თვისებრივი კვლევის მეორე მეთოდიც, კერძოდ კი სიღრმისეული ინტერვიუ. ამ მეთოდმა საშუალება მოგვცა დაგვენახა და გაგვეაზრებინა ამჟამანიდელი მდგომარეობა, კერძო და სახელმწიფო უმაღლეს სასწავლებლებში. კვლევის ფარგლებში ჩატარდა 15 სიღრმისეული ინტერვიუ. გენერალურ ერთობლიობას წარმოადგენდნენ თბილისი კერძო და სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი. კვლევის ფარგლებში შეირჩა 4 კერძო და 4 სახელმწიფო უნივერსიტეტი. სიღრმისეული ინტერვიუების გაანალიზების შედეგად გამოიყო შემდეგი თემატური ჯგუფები: დამოკიდებულება ინკლუზიური განათლების სწავლების მოდელი მიმართ, დამოკიდებულება სპეციალური საჭიროების მქონე პირების მიმართ, უნივერსიტეტის შიდა პოლიტიკის შეფასება ინკლუზიური განათლების მოდელის მიმართულებით.

კერძო და სახლემწიფო უნივერსიტეტების კვლევის შედეგად ნათელი გახდა, განსხვავება კერძო და სახლემწიფო უნივერსიტეტებში არსებულ ამჟამინდელ სიტუაციას შორის, რაც სხვადასხვა მიზეზით შეიძლება აიხსნას, აქედან გამომდინარე განვიხილოთ, როგორ კერძო ასევე სახელმწიფო უნივერსიტეტების კვლევის შედეგად მიღებული მონაცემები ცალ-ცალკე. რაც შესაძლებლობას მოგვცემს დავინახოთ მნიშვნელოვანი განსხვავებები და მსგავსებები მათ შორის.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, კვლევის ფარგლებში 4 სახელმწიფო უნივერსიტეტი მონაწილეობდა : ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი და სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი. აღნიშნული უნივერსიტეტების კვლევის შედეგები შემდეგია:

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

კვლევის ფარგლებში 2 რესპონდენტი შეირჩა ილიას სახემწიფო უნივერისტეტიდან. ერთი რესპონდენტი წარმოადგენდა სტუდენტებთან ურთიერთობის სამსახურის უფროსს და მეორე რესპონდენტი, რომელმაც კვლევაში მონაწილეობა მიიღო, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მოწვეული ლექტორია. აღნიშნული უნივერსიტეტის კვლევის შედეგები, თემატური თავების შესაბამისად შემდეგია :

ინკლუზიური განათლების სწავლების მოდელი მიმართ დამოკიდებულება

ილიაუნის სტუდენტებთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი აღნიშნავს, რომ ინკულზიური განათლების მოდელის წარმატებით დანერგვა ძალიან მნიშვნელოვანია, სპეციალური საჭიროების მქონე სტუდენტებს უნდა ჰქონდეთ შესაძლებლობა მიიღონ შესაბამისი განათლება და შეეძლოთ საკუთარი შესაძლებლობების მაქსიმალურად რეალიზება, ამისთვის კი საჭიროა მაქსიმალური მხარდაჭერა სხვადასხვა ორგანოების მხირდან, იქნება ეს სახელმწიფო, უნივერსიტეტი თუ სხვ. რაც შეეხება იმ უნივერსიტეტს, რომელსაც თვითონ წარმოადგენს, თვლის, რომ უნივერსიტეტის შექმნის დღიდან ეს პროგრამა ყოველთვის აქტიური იყო და ყურადღება ექცეოდა მის განვითარებას. შესაბამისად, უნივერსიტეტის შექმნის დღიდან იყვნენ სპეციალური საჭროების მქონე სტუდენტებიც.

რაც შეეხება მეორე რესპონდენტს, რომელიც ამავე უნივერსიტეტიდან კვლევის ფარგლებში იქნა გამოკითხული, აღნიშნავს, რომ ინკლუზიური განათლება, მოცემულ ეტაპზე, არის ძალიან სუსტად განვითარებული. მისი აზრით, განათლების სამინისტრომ თუ საკმარისი თანხა არ გამოყო განათლების კონკრეტულ მიმართულებაზე და ზოგადად განათლებაზე, ამ შემთხვევაში სეგმენტი ძალიან რთულად ვითარდება და აქედან გამომდინარე ვერც ერთი მიმართულება ვერ განვითარდება კარგად, შესაბამისად, იქნება ძალიან სუსტად განვითარებული და შედეგიც არ იქნება კარგი, იგივე ეხება მისი აზრით ინკლუზიურ განათლებასაც:

> *არ არის საკმარისი ის, რასაც აკეთებს სახელმწიფო, არ ხდება საკმარისი ბიუჯეტის გამოყოფა ამ მიმართულებით და მხოლოდ და მხოლოდ*

ენთუზიაზმზე დაყრდნობით ეს მოდელი არ იქნება ეფექტური, ვინაიდან პროექტები ამ მიმართულებით ძირითადად დონორებზე დაყრდნობით ხორციელდება.

რესპონდენტი აღნიშნავს, რომ ბაზარი არ არის იმდენად განვითარებული ქვეყანაში, რომ უზრუნველყოს განათლების სფეროს სრულად დაფინანსება და ის ვერ დაარეგულირებს განათლების მიმართულებას. სახელმწიფოში არ ხდება ბიუჯეტის სწორად განაწილება. მისი აზრით, პირველი ეს არის თავდაცვის სამინისტრო და მას უნდა ქონდეს ნომერ პირველი დაფინანსება და მეორე ადგილზე აუცილებლად უნდა იდგეს განათლების სამინისტრო, და მოხდეს მისი შესაბამისად დაფინანსება:

ერთადერთი პროექტი მახსენდება ამ მიმართულებით, ვგულისხმობ კვლევას განათლების მიმართულებით, რომელიც თბილისის მერიამ დაუკვეთა და ამ პროექტსაც მსვლელობისას შეუმცირდა განსაზღრული დაფინანსება, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს სახელმწიფოს დამოკიდებულებას განათლების სფეროს განვითრების მიმართ. სახელმწიფოს შეუძლია უფრო მეტი თანხის გამოყოფა. არ ხდება განათლების ხარისხის გაუმჯობესებაზე ზრუნვა, განათლება სახელმწიფოსთვის პრიორიტეტს არ წარმოადგენს.

დამოკიდებულება სპეციალური საჭიროების მქონე პირების მიმართ

სტუდენტებთან ურთერთბის სამსახურის უფროსი აღნიშნავს, რომ მათი უნივერსიტეტი მზად არის მიიღოს სპეციალური საჭიროების მქონე პირები სასწავლებელში, მოხდეს კონკრეტულ შემთხვევებზე დაყრდნობით გათვალსიწინება და რეაგირება სხვადასვხა პირობებზე და საჭიროებებზე და ა.შ. მისი აზრით საუნივერსიტეტო სივრცე, პროფეროს-მასწავლებლები და სტუდენტები არიან მზად მიიღონ სპეციალური საჭიროების მქონე პირი, და არსებული გამოცდილებიდან გამომდინარე, სწავლის პროცეში სპეციალური საჭიროების მქონე სტუდენტებს

არანაირი გართულება არ ქონიათ. მარტივად ადაპტირდნენ საუნივერსიტეტო სივრცეში.

სტუდენტებთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი აღნიშნავს იმას, რომ უნივერსიტეტში ამჟამადაც არიან სპეციალური საჭიროების მქონე სტუდენტები, იგულისხმება უშუალოდ მხედველობის პრობლემის მქონე, გადაადგლების პრობლემის მქონე სტუდენეტები და მოტორიკის პრობლემის მქონე სტუდენტები. ამ შემთხვევაში საჭიროების შესაბამისად ხდება რეაგირება, იგულისხმება სხვადასხვა ზომის შრიფტით დაბეჭდილი მასალების მიწოდება, საგამოცდო პერიოდში, დროის გათავლისწინება, ვინაიდან გათვალისწინება ხდება იმ ფაქტის, რომ მათ უფრო მეტი დრო ჭირდებათ საგამოცდო საკითხების წერისთვის და ასე შემდეგ. სხვა განსაკურთრებული საჭიროების მქონე სტუდენტები არ ჰყოლიათ უნივერსიტეტში და აქედან გამომდინარე, სხვა შემთხვევებზე ვერ ვისაუბრებთ. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული უნივერსიტეტი ინფრასტრუქტური კუთხით არ არის გამართული სრულად, ხდება მორგება კონკრეტულ შემთხვევებზე. მაგალითად, თუ კორპუსში არ არის ლიფტი და გადაადგილების მქონე სტუდენტი სწავლობს, ამ შემთხვევაში მათ ლექციები პირველ სართულზე ენიშნებათ, სადაც მათთვის გადაადგილება არ წარმოადგენს პრობლემას.

როგორც უკვე აღინიშნა, ამ უნივერსიტეტში სწავლობენ სპეციალური საჭიროების მქონე პირები, მაგრამ ძალიან მცირე რაოდენობით, მეორე რესპონდენტს, უშუალოდ ქონია გამოცდილება სპეციალური საჭიროების მქონე პირთან ურთიერთბის, ვინაიდან მის სალექციო კურში იყო ორი სტუდენტი, ერთი რომელსაც მხედველობის პრობლემა ქონდა და მეორე, რომელსაც საუბარი უჭირდა. ამ სტუდენტებთან მიმართებაში ლექტორი აღნიშნავს, რომ იყენებდა ინდივიდუალურ მიდგომას, სტუდენტს, რომელსაც უჭრდა საუბარი, მისგან სემინარს წერით იბარებდა და რაც შეეხება მხედველობის პრობლემის მქონე სტუდენტს, მისთვის შესაბამისი შრიფტით დაბეჭდილი ტესტები და თემები ჰქონდა. სპეციალური საჭიროების მქონე პირების მიმართ, ლექტორებისა და სხვა სტუდენტების დამოკიდებულებაზეც საუბრობს რესპონდენტი და აღნიშნავს:

სპეციალური საჭროების მქონე სტუდენტები აბსოლუტურად არ იყვნენ გაუცხოებულნი სასწავლო პროცესში და მაქსიმალურად ხდებოდა მათი ჩართვა სასემინარო და სალექციო კურსებზე, სხვა სტუდნეტების მსგავსად. თანატოლების დამოკიდებულებაც იყო სრულიად ნეიტრალური და ბუნებრივი.

უნივერსიტეტის შიდა პოლიტიკის შეფასება ინკლუზიური განათლების მოდელის მიმართულებით

რაც შეეხება უნივერსიტეტის შიდა პოლიტიკას, სტუდენტებთან ურთიერთობის სამსახურის უფროსმა, დასაწყისშივე აღნიშნა, რომ მათი უნივერსიტეტი, დაარსების დღიდან დღემდე აქტიურად არის ჩართული ინკლუზიური განათლების პროგრამაში, ცდილობენ უფრო მეტად განვითარებას და დახვეწას ამ მიმართულებით.

სახელმწიფოს როლზე საუბრისას, ინკლუზიური განათლებასთან მიმართებაში, საუნივერსიტეტო სივრცეში, რესპონდენტი აღნიშნავს, რომ ჯერჯერობით თვითონაც მარტივად უმკლავდებიან არსებულ მოთხოვნებს, იგულისხმება სპეციალური საჭიროების მქონე პირებისადმი შესაბამისი გარემოსა და განთლების ხელმისაწვდომობას შესაძლებლობების შექმნა, თვითონაც ახერხებენ და აქედან გამომდინარე სახელმწიფოს ჩარევა და დახმარება საჭირო არ გამხდარა.

უნივერსტეტში აკადემიური პერსონალის ამ კუთხით განვითარებისთვის ტრენინგები და მსგავსი ღონისძიებები არ ტარდება, რამდენაც სტუდენტებთან ურთოერთობის სამსახურის უფროსი აღნიშნავს: ,, ამის საჭიროება არ არსებობს და არც ყოფილა''

შეჯამების სახით, რომ ვთქვათ, აღნიშნული რესპონდენტის თქმით, უნივერსიტეტი ღიაა ნებისმიერი საჭიროების მქონე სტუდენტისთვის და მზად არის მიიღოს ნებისმიერი საჭროების მქონე პირის მისაღებად.

ამ თემაზე მეორე რესპონდენტი უფრო ვრცლად საუბრობს, პროფესორის აზრით აღნიშნულ უნივერსიტეტში, ინფრასტრუქტურა არ არის სრულად მორგებული, თუმცა უნივერსიტეტში არსებობს პანდუსები, რომლის მეშვეობითაც სპეციალური

საჭროების მქონე პირებს დაწესებულებაში შესვლა დამოუკიდებლად შეუძლიათ, თუმცა არა ნებისმიერ ადგილას, არამედ მხოლოდ პირველ სართულზე. სართულებს შორის გადაადგილება ჭირს, ვინაიდან უნივერსიტეტის ყველა კორპუსში არ არის ლიფტი. პანდუსების შექმნაც, გამოუწვეული იყო სახელმწიფო მოთხოვნებიდან, უშუალოდ აკრედიტაციის კრიტერიუმების შესაბამისად იქნა გათვალისწინებული. რადგან აკრედიტაციის პროგრამა მოიაზრებს სპეციალური საჭიროების მქონე პირებისთვის განათალების მიღების შესაძლებლობას.

პროფესორი აღნიშნავს, რომ აკრედიტაციის მიღების შემდეგ, მათ ჩაუტარდათ ტრენინგი, იმასთან დაკავშირებით, რომ ელემენტარულ დონეზე მაინც ჰქონოდათ ინფორმაცია სპეციალური საჭიროების მქონე პირებთან ურთიერთობის შესახებ. მაგრამ ეს იყო მოკლე ტრენინგი, დაახლოებით 1 საათიანი. შემდგომ ამ მიმართულებით სხვა რაიმე ღონისძიება არ ჩატარებულა. რაც შეეხება ადმინისტარიცულ განყოფილებაში დასაქმებულ პირებს, ეს ტრენინგი მათ არ შეხებიათ. ტრენინგი მხოლოდ პროფესორებს ჩაუტარდათ.

აღნიშნული რესპონდენტი ხაზს უსვამს, რომ ინკლუზიური განათლების მოდელის განვითარებისთვის აუცილებელია სახელმწიფომ გადააფასოს პრიორიტეტები და მეტი ბიუჯეტი გამოყოს განათლების სფეროში, სხვა შემთხვევაში ინკლუზიური განათლება, როგორც სასკოლო, ასევე საუნივერსიტეტო სივრცეში იქნება სუსტად განვითარებული და სპეციალური საჭიროების მქონე პირი და არა მხოლოდ ის, ვერ შეძლებს ხარისხიანი განათლების მიღებას და საკუთარი შესაძლებლობების რეალიზებას. აქედან გამომდინარე, ძალიან ბევრი სამუშაოა განათლების ხარისხის გაუმჯობესების მიმართულებით, პროფესორის აზრით.

ივანე ჯავახისილის თბილისის სახლემწიფო უნივერისიტეტი

კვლევის ფარგლებში, ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახლემწიფო უნივერსიტეტიდან, კვლევაში მონაწილეობა მიიღო, აკადემიური პერსონალის, ორმა

წარმომადგენელმა : ერთი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ასოცირებული პროფესორი გახლდათ და მეორე სტუდენტებთან ურთიერთობის სამსახურის სპეციალისტი.

დამოკიდებულება ინკლუზიური განათლების მოდელის მიმართ

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ასოცირებული პროფესორი, ჩვენთან საუბრისას აღნიშნავს, რომ ინკლზიური განათლების მოდელის იდეა, თავისი არსით ძალიან მნიშნელოვანია, ვინაიდან სწავლების ეს მოდელი ითვალისწინებს ნებისმიერი შესაძლებლობის მქონე პირთა სწავლებას საგანმანათლებლო დაწესებულებებში. მისი აზრით, ინკლუზიური განათლების მოდელი საკმაოდ განვითარებულია საქართველოში და სპეციალური საჭიროების მქონე პირებს მეტ-ნაკლებად აქვთ შესაძლებლობა მიიღონ განათლება. თუმცა ეს შესაძლებლობები განსხვავდება სკოლების, პროფესიული სასწავლებლებისა და უმაღლესი სასწავლებლების დონეზე. აღნიშნული პროფესორის აზრით, სასწავლო გეგმა სრულად ითვალისწინებს ინკლუზიური განათლების მოდელს, თუმცა ის დახვეწის პროცესშია და მუდმივად მიმდინარეობს გაუმჯობესობაზე მუშაობა.

სტუდენტებთან ურთიერთობის სამსახურის სპეციალისტი, ინკლუზიურ განათლებაზე საუბრისას აღნიშნავს, რომ ინკლუზიური განათლების მოდელი არის სწავლების მოდელი, რომელიც საშუალებას აძლევს ნებისმიერ პირს, მიუხედავად მისი შესაძლებლობებისა, სოციალური თუ ეთნიკური მდგომარეობისა მიიღოს განათლება, განავითაროს საკუთარი თავი და მოახდინოს საკუთარი შესაძლებლობების რეალიზება. აქედან გამომდინარე, ფიქრობს, რომ ინკლუზიური განათლების მოდელის წარმატებით განხორციელება ძალიან მნიშნელოვანია, ვინაიდან ყველას აქვს უფლება მიიღოს განათლება და ეს კანონითაც არის დადგენილი.

დამოკიდებულება სპეციალური საჭიროების მქონე პირების მიმართ

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა პროფესორის დამოკიდებულება სპეციალური საჭიროების მქონე პირების მიმართ პოზიტიურია და საუბრობს, რომ :

,,ჩემი პირადი დამოკიდებულა აღნიშნული პირების მიმართ, საკმაოდ დადებითი და ობიექტურია, რადგან მე ძალიან მაინტერესებს, მათი შესაძლებლობების განსაზღვრა და შეფასება, მათთან ურთიერთობა და ადაპტირება."

პროფესორის ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ განათლების მიღების უფლება ადამიანის ფუნდამეტური უფლებაა და აქედან გამომდინარე სპეციალური საჭიროების მქონე პირები უნდა საწვლობდნენ უმაღლეს სასწავლებლებში, და რა თქმა უნდა, ნებისმიერი უმაღლესი სასწავლო დაწესებულება საშუალებას უნდა აძლევდეს სპეციალური საჭიროების მქონე პირს მიიღოს შესაბამისი განათლება და მოახდინოს საკუთარი შესაძლებლობების მაქსიმალურად რეალიზება.

სტუდენტებთან ურთიერთობის სამსახურის სპეციალისტი აღნიშნავს, რომ მისი დამოკიდებულება სპეციალური საჭიროების მქონე პირების მიმართ არის აბსოლუტურად ჩვეულებრივი, ვინაიდან ის, არ განასხვავებს ადამიანებს იმისდა მიხედვით, თუ რა შესაძლებლობების ან რა სოციალური თუ ეთნიკური სტატუსის მატარებლები არიან. მისი დამოკიდებულება სტუდენტების მიმართ არის ერთნაირი, არ განასხვავებს რაიმე ნიშნის მიხედვით. ფიქრობს, რომ სპეციალური საჭიროების მქონე პირებიც უნდა სწავლობდნენ საგანმანათლებლო დაწესებულებებში და ნებისმიერი დაწესებულება, იქნება ეს სკოლა, პროფესიული სასწავლებლები თუ უმაღლესი სასწავლებლები მზად უნდა იყვნენ იმისთვის, რომ ნებისმიერი საჭიროების მქონე სტუდენტმა შეეძლოს განათლების მიღება. პირველ რიგში უნდა იყოს შესაბამისი გარემო შექმნილი, როგორც ინფრასტრუქტურის კუთხით, ასევე აკადემიური პერსონალის კუთხითაც, რომ დაბრკოლება არ შეექმნას სასწავლო პროცესში, სპეციალური საჭიროების მქონე პირებს, რათა შეძონ ხარისხიანი განათლების მიღება.

უნივერსიტეტის შიდა პოლიტიკის შეფასება ინკლუზიური განათლების მოდელის მიმართულებით

უნივერისტეტის შიდა პოლიტიკაზე საუბრისას, პროფესორი აღნიშნავს, რომ უნივერსიტეტის შიდა პოლიტიკა ითვალისწინებს სპეციალური საჭიროების მქონე

პირებისთვის განათლების მიღების შესაძლებლობას, რასაც გარკვეულწილად სახელმწიფოც ავალდებულებს უნივერსიტეტს. თუმცა ბევრი სამუშაოა ამ მიმართულებით, ვინაიდან უნივერსიტეტის ყველა კორპუსი არ არის ადაპტირებული სპეციალური საჭიროების მქონე პირებისთვის, თუნდაც იმ კუთხით, რომ დამოუკიდებლად შეძლონ გადაადგილება. მიუხედავად იმისა, რომ უნივერსიტეტი, რომელსაც თვითონ წარმოადგენს, ერთ-ერთი წამყვანი უნივერსიტეტია საქართველოში, ის ვერ აკმაყოფილებს იმ სტანდარტებს სრულად რასაც ინკლუზიური განათლების მოდელის წარმატებით განხორციელება მოითხოვს. პროფესორის ყურადღებას ამახვილებს ფინანსურ მხარეზე, დიდი ფინანსური მხარდაჭერაა საჭირო, რომ სრულად ადაპტირდეს და მოეწყოს საუნივერსიტეტო გარემო.

სტუდენტებთან ურთიერთობის სამსახურის სპეციალისტი აღნიშნავს, რომ უნივერსიტეტის შიდა პოლიტიკა ითვალისწინებს სპეციალური საჭიროების მქონე სტუდენტებისთვის განათლების მიღების შესაძლებლობას და ამ ეტაპზეც ყავთ სხვდასხვა საჭიროების მქონე სტუდენტები უნივერსიტეტში, იგულისხმება ფიზიკური გადაადგილების პრობლემის მქონე სტუდენტები და მხედველობის პრობლემის მქონე სტუდნტებიც, ასევე ჰყოლიათ სტუდენტი, რომელსაც მეტყველება უჭირდა. უნივერსიტეტი მაქსიმალურად ცდილობს სპეციალური საჭიროების მქონე პირების, განათლების ხელშეწყობას. ვინაიდან საჭიროებების შესაბამისად ხდება მათზე რეაგირება და პრობლემის აღმოფხვრა, რომ არანაირი დისკომფორტი არ შეექმნას სტუდენტს სასწავლო პროცესში და თავი კომფორტულად იგრძნოს. ინფრასტრუქტურა უნივერსიტეტის ძირითად კორპუსში თითქმის გამართულია, რაც შეეხება სხვა კორპუსებს მიმდინარეობს განახლების პროცესი, მაგრამ ეს დროსთან და დიდ ფინანსურ რესურსებთანაც არის დაკავშირებული. აქედან გამომდინარე, ნელ-ნელა ცდილობს უნივერსიტეტი სრულად მიუახლოვდეს სტანდარტებს. რაც შეეხება პროფესორებს და ადმინისტრაციაში დასაქმებულ პერსონალს, მათ ჩვეულებრივი ურთიერთობა აქვთ სპეციალური საჭიროების მქონე პირებთანაც, არანაირი გართულება არ დაფიქსირებულა. თუმცა, იმისათვის, რომ სწავლების ეს მოდელი უკეთ დაინერგოს უმაღლეს სასწავლებელში, კარგი იქნებოდა განმავითარები პროგრამებისა და ტრენინგების ჩატარების ორგანიზებაც, რომ უნივერსიტეტში

დასაქმებულები მომზადებული დახვდნენ სპეციალური საჭიროების მქონე პირებს, რათა უფრო მარტივად შეძლონ ადაპტირება აღნიშნულმა პირებმა, საუნივერსიტეტო სივრცეში. მსგავს ღონისძიებებს თუ განათლების სამინისტრო დაგეგმავს და განახორციელებს, უნივერსიტეტის დონეზე, ძალიან დადებითან აისახება ინკლუზიური განათლების მოდელის წარმატებით და ეფექტურად დანერგვის გზაზე.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

კვლევაში მონაწილეობა მიიღო, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ორმა წარმომადგენელმა, სტუდენტთა ურთიერთობის სამსახურის სპეციალისტმა და ტექნიკური უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორმა.

დამოკიდებულება ინკლუზიური განათლების სწავლების მოდელი მიმართ

ტექნიკური უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი ჩვენთან საუბრსას აღნიშნავს, რომ ინკლუზიური განათლების მოდელთან შეხება არ ქონია დღემდე, თუმცა აქვს სურვილი მიიღოს გამოცდილება და აიმაღლოს ცოდნა ამ მიმართულებით. არ აქვს ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რამდენად ეფექტურად ხორციელდება ინკლუზიური განათლება საქართველოში, ვინაიდან როგორც თვითონ აღნიშნავს, დღემდე არანაირი შეხება არ ქონია ამ მოდელთან.

ტექნიკური უნივერსიტეტის მეორე წარმომადგენელმა, რომელიც სტუდენტებთან ურთიერთობის სპეციალისტს წარმოადგენდა, ამ თემაზე საუბრისას, გაიხსენა ბოლოდროინდელი ცვლილებები, საქართველოს განათლების სისტამაში. მისი აზრით, ამ ცვლილებიდან გამომდინარე ინკლუზიური განათლების მოდელი მეტად აქტუალური გახდა და ის ფიქრობს, რომ ,,ამჟამად აღნიშნული პროგრამა წარმატებით და ეფექტურად ხორციელდება.''

დამოკიდებულება სპეციალური საჭიროების მქონე პირების მიმართ

ასოცირებული პროფესორი ძალიან პოზიტიურად არის განწყობილი სპეციალური საჭიროების მქონე პირების მიმართ. მისი აზრით, ნებისმიერ ადამიანს აქვს

განათლების მიღების უფლება. რაც შეეხება სპეციალური საჭიროების მქონე სტუდენტებს, მისი აზრით :

> *რა თქმა უნდა, სპეციალური საჭიროების მქონე პირები უნდა სწავლობდნენ უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებში, რადგან ეს მათი განვითარებისთვის ძალზედ მნიშვნელოვანია და მათ შესაბამისი პირობები უნდა შევთავაზოთ.*

აღნიშნული რესპონდენტის აზრი, უნივერსიტეტში უნდა არსებობდეს ისეთი გარემო-პირობები, რაც სპეციალური საჭიროების მქონე პირებს თავს კომფორტულად აგრძნობინებს და არ შეექმნებათ უხერხულობის განცდა.

ასევე საუბრობს იმაზე, რომ საუნივერსიტეტო სივრცეში არ აქვს შეხება სპეციალური საჭიროების მქონე პირებთან, ვინაიდან ბიზნესის ფაკულტეტზე მსგავსი საჭიროების მქონე სტუდენტები არ ყავთ, თუმცა აღნიშნავს, რომ ყოველდღურ ცხოვრებაში , უნივერსიტეტს ,,გარეთ'' ხშირად უწევს სპეციალური საჭიროების მქონე პირებთან ურთიერთბა და როგორც თვითონ აღნიშნავს ეს დადებით გავლენას ახდენს მასზე, როგორც პიროვნებაზე.

ტექნიკური უნივერსიტეტის, სტუდენტებთან ურთიერთობის სპეციალისტიც, რომელიც ამ კვლევაში მონაწილეობდა, ძალიან დადებითად არის განწყობილი სპეციალური საჭიროების მქონე პირების მიმართ. მისი აზრით, სპეციალური საჭიროების მქონე პირები, აუცილებლად უნდა სწავლობდნენ უმაღლეს სასწავლებლებში :

> სპეციალური საჭიროების მქონე პირები, *რა თქმა უნდა, უნდა სწავლობდენ უმაღლეს სასწავლებლებში, არ შეიძლება საზოგადოებიდან მათი გარიყვა, რადგან* სპეციალური საჭიროების მქონე *პირებიც ჩვენი ნაწილია და მათაც იგივე უფლებები აქვთ როგორიც აქვთ სხვა, დანარჩენ სტუდენტებს. მივესალმები, იმ ფაქტს, რომ უნდა ისწავლონ სპეციალური საჭიროების მქონე პირებმა უმაღლეს სასწავლებლებში.*

ეს რესპონდენტი აღნიშნავს იმასაც, რომ ამჟამინდელი სასწავლო გეგმა ითვალისწინებს, სპეციალური საჭიროების მქონე პირებისთვის განათლების მიღების ხელმისაწვდომობას.

უნივერსიტეტის შიდა პოლიტიკის შეფასება ინკლუზიური განათლების მოდელის მიმართულებით

ბიზნესის ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი უნივერსიტეტის შიდა პოლიტიკაზე საუბრისას აღნიშნავს, რომ ამჟამად ინკლუზიური განათლების ეფექტურად დანერგვისთვის არანაირი ღონისძიება არ ტარდება უნივერსიტეტში. არც სახელმწიფოს მხრიდან არ არის ხელშეწყობა ამ მოდელის ტექნიკურ უნივერსიტეტში წარმატებულად დანერგვისთვის. არ არის გამართული ინფრასტრუქტურა, სპეციალური საჭიროების მქონე პირებს არ აქვთ საშუალება დამოუკიდებლად გადაადგილდნენ უნივერსიტეტში.

აღნიშნული პროფესორის აზრით, იმისთვის რომ ინკლუზიური განათლების მოდელი წარმატებით განხორციელდეს უნივერსიტეტში საჭიროა რამდენიმე მიმართულებით მუშაობა. პირველი უნდა მოხდეს საკადრო ცვლილებები, ისეთი პროფესიონალი კადრების შემოყვანაა საჭირო, რომლებსაც ექნებათ ცოდნა და გამოცდილება სპეციალური საჭიროების მქონე პირებთან ურთიერთობის. ექნებათ გავლილი შესაბამისი პროგრამა, რაც ხელს შეუწყობს სპეციალური საჭიროების მქონე პირების ადამპტაციას საუნივერსიტეტო სივრცეში. პროფესორი ხაზს უსვამს, მსგავსი კადრების არ არსებობაზე უნივერსიტეტში, და ,,სასურველი იქნება შესაბამისი განათლების მქონე სპეციალისტების მიღება უნივერსიტეტებში, რაც აუცილებელია ამ მოდელის წარმატებით დანერგვისთვის.''

რაც შეეხება, სტუდენტებთან ურთიერთობის სპეციალისტს, ის აღნიშნავს, რომ სახელმწიფო აქტიურად ცდილობს ინკლუზიური განათლების მოდელის დანერგვას უმაღლეს სასწავლებლებში და ფიქრობს, რომ ეს უკვე წარმატებული ნაბიჯია სახელმწიფოსთვის. უნივერსიტეტში მიმდინარეობს მუშაობა პროგრამებზე, რომლებზეც შეეძლებათ სპეციალური საჭიროების მქონე პირებს სწავლა. მისი აზრით

უნივერსიტეტის ამჟამინდელი სიტუაცია მეტ-ნაკლებად შეესაბამება სტანდარტებს, თუმცა აქვე საუბრობს იმაზე, რომ

> *რამოდენიმე მნიშვნელოვანი ნიუანსია დარჩენილი, რაც არის გასაკეთებელი უნივერსიტეტში და ამის შემდეგ უკვე მზად იქნება უნივერსიტეტი შეძლოს და მიიღოს სპეციალური საჭიროების მქონე პირები განათლების მისაღებად.*

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

კვლევის ფარგლებში 2 რესპონდენტი შეირჩა სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტიდანაც: სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი, პოლიტიკის მეცნიერებებში და განათლების ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სპეციალისტი .

დამოკიდებულება ინკლუზიური განათლების სწავლების მოდელი მიმართ

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის, პროფესორი საუბრობს ინკლუზიური განათლების მნიშვნელობაზე, მისი აზრით ინკლუზიური განათლების წარმატებით დანერგვა ძალიან მნიშვნელოვანია. ხაზს უსვამს იმას, რომ ნებისმიერი საჭიროების მქონე პირს უნდა შეეძლოს განათლების მიღება და საკუთარი შესაძლებლობების მაქსიმალურად რეალიზება. განათლება უნდა იყოს ხელმისაწვდომი ყველასთვის. პროფესორის თქმით, ამჟამად, უნივერსიტეტში სპეციალური საჭიროების მქონე პირების რაოდენობა ძალიან მცირეა. ის ასევე აღნიშნავს, რომ სპეციალური საჭიროების მქონე პირებისთვის პირობები თანდათან იქმნება და უმჯობესდება. რესპონდეტს არ აქვს სპეციალური საჭიროების მქონე პირებთან ურთიერთობის გამოცდილება საუნივერსიტეტო დონეზე.

განათლების ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სპეციალისტი აღნიშნავს, რომ ინკლუზიური განათლების მოდელი საკმაოდ განვითარებულია საქართველოში. თუ ადრე პროფესორ-მასწავლებლებს არ ქონდა ინფორმაცია სწავლების ამ მოდელის

შესახებ, გულისხმობს საწყის ეტაპს, როდესაც დაიწყო საქართველოში ინკლუზიური განათლების მოდელის დანერგვა, დღეს მათ თავისუფლად შეუძლიათ განმარტონ, ინკლუზიური განათლების მნიშვნელობა და სწავლების ეს კონკრეტული მოდელი. აქვე საუბრობს იმაზე, რომ ინკლუზიური განათლება მოიაზრებს არა მხოლოდ სპეციალური საჭიროების მქონე პირებს, არამედ ნებისმიერ ეთნიკურ თუ სოციალურ ჯგუფს. შედმეგ კი, საუბრობს უშუალოდ ამჟამინდელ სიტუაციაზე, იმაზე, რომ სკოლის დონეზე უკვე გადალახულია ბარიერები და შექმნილია ადაპტირებული გარემო, მაგრამ უნივერსიტეტის დონეზე ჯერ კიდევ ბევრია სამუშაო, ვინაიდან არ არის ხელსაყრელი პირობები და ამისთვის დიდი ფინანსური რესურსებია საჭირო.

დამოკიდებულება სპეციალური საჭიროების მქონე პირების მიმართ

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, დადებითად არის განწყობილი სპეციალური საჭიროების მქონე პირების მიმართ. მისი აზრით, ისინი უნდა სწავლობდნენ უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებში:

> *ჩვენ ყველანაირად უნდა შვუწყოთ ხელი, რადგან სრულფასოვანი წევრები არიან საზოგადეობის, მათ უნდა ჰქონდეთ შანსი საკუთარი შესაძლებლობების გამოვლენის. საზოგადოებამ ყველაფერი უნდა გააკეთოს და უნივერსიტეტებმა მითუმეტეს, ევალებათ კიდეც მის წესდებაში შედის, რომ არ უნდა განასხვავოს ის საზოგადოების სხვა წევრებისგან.*

განათლების ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სპეციალისტი ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ:

> *ნებისმიერი სივრცისთვის თუ დაწესებულებისთვის მისაღებია სპეციალური საჭიროების მქონე პირებთან მუშაობა, რადგან მათთვის აუცილებელია საზოგადოებაში ინტეგრირება. ჩვენ ხშირად ვახორციელებთ, მსგავს პირებთან ურთიერთობას, ასევე გვყავს სტუდენტები რომელთაც სჭირდებათ ჩვენი მხარდაჭერა, მიუხედავად*

იმისა, რომ უნივერსიტეტის გარემო არ არის საკმარისად ადაპტირებული.

ყურდღებას ამახვილებს ასევე, რომ სპეციალური საჭიროების მქონე პირები უნდა სწავლობდნენ უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებში : ,,განათლების მიღების შესაძლებლობის ქონა, ნებისმიერი ადამიანის უფლებაა, განურჩევლად რასისა, სქესისა თუ შესაძლებლობებისა.'' აღნიშნული უნიბერსიტეტის ფარგლებში ხორციელდება უამრავი ხელშემწყობი პროგრამა ინკლუზიური განათლების კუთხით, აღნიშნავს პროფესორი, მაგალითად როგორიცაა Erasmus + პროგრამა, სადაც ჩართულები არიან სპეციალური საჭიროების მქონე პირები, თუმცა არსებული პროგრამები ეხება მხოლოდ და მხოლოდ განათლების ფაკულტეტის მიმართულებას, სხბა ფაკულტეტების დონეზე ეს არ ხდება. განათლების ფაკულტეტზე ხორციელდება, ადმინისტრაციისა და პროფესორების დატრენინგება ინკლუზიური განათლების კუთხით. სხვა ფაკულტეტებზე კი ხდება მხოლოდ ადმინისტრაციის დატრენინგება, ბიუჯეტის სიმცირის გამო.

უნივერსიტეტის შიდა პოლიტიკის შეფასება ინკლუზიური განათლების მოდელის მიმართულებით.

უნივერისტეტის შიდა პოლიტიკაზე საუბრისას პროფესორი ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, რექტორის მხარდაჭერით აუცილებლად მიიღებს სპეციალური საჭიროების მქონე სტუდენტს სასწავლებელში თუ მსგავსი შემთხვევა დაფიქსირდება, ვინაიდან უნივერსიტეტი ღიაა ნებისმიერი საჭიროების მქონე პირისთვის. თუმცა აქვე იმაზეც საუბრობს, რომ არსებული ინფრასტრუქტურა ბოლომდე გამართული არ არის, თუმცა ბოლო პერიოდში მიმდინარეობს მუშაობა იმაზე, რომ გარემო იყოს მორგებული სპეციალური საჭიროების მქონე პირებზე, რომ მათ შეძლონ უნივერსიტეტში დამოუკიდებლად გადაადგილება. შეიმჩნევა ცვლილებები უკეთესობისკენ, ვინაიდან უნივერსიტეტი არაერთ პროექტში იღებს მონაწილეობას, რაც დადებითად აისახებ უნივერსიტეტის განვითარებაზე : ,,შეიძლება ჯერ იმდენად არ ვართ მზად, როგორც სხვა უნივერსიტეტები, მაგრამ ჩვენ მივიწევთ განვითარებისკენ და შედეგს აუცილებლად მივაღწევთ'' - აღნიშნავს პროფესორი.

განათლების ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სპეციალისტი დასაწყისშივე აღნიშნავს, რომ განათლების ფაკულტეტზე მნიშვნელოვანი პროექტები ხორციელდება ინკლუზიური განათლების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით და ამას უნივერსიტეტის შიდა პოლიტიკაც ითვალისწინებს, თუმცა როგორც აღინიშნა ეს მხოლოდ ამ ფაკულტეტის დონეზე ხდება. ის, ფიქრობს რომ უნივერსიტეტში ინკლუზიური განათლების მოდელი, ჯერ კიდევ განვითარების საწყის ეტაპზეა. საჭიროა პირველ რიგში, ადაპტირებული გარემოს შექმნა, რასაც ძალიან დიდი ფინანსური მხარდაჭერა სჭირდება. უნივერსიტეტს არ შეუძლია მიიღოს ეტლით მოსიარულე ან მხედველობის არ მქონე პირი, ვინაიდან მათთვის საჭირო პირობები არ აქვთ, ელემენტარული პანდუსებიც კი არ არის ამ ეტაპზე უნივერსიტეტში.

საბოლოოდ, სახელმწიფო უნივერსიტეტებში ჩატარებული სიღრმისეული ინტერვიუების შედეგად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ კვლევაში მონაწილე უნივერსიტეტების აკადემიური პერსონალი ფლობს ინფორმაციას ინკლუზიური განათლების მოდელის შესახებ, თუმცა აუცილებელია აქვე აღინიშნოს, რომ ინფომრაციის ფლობის ხარისხი განსხვავდება ფაკულტეტების მიხედვით. კვლევაში მონაწილე რესპონდენტები, რომლებიც სოციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტს წარმოდგნენ, უფრო მეტ ინფორმაციას ფლობდნენ ამ მოდელის შესახებ და ხშირ შემხვევაში, სპეციალური საჭიროების მქონე სტუდენტებთან ურთიერთობის გამოცდილებაც ჰქონდათ, რაც შეეხება ბიზნესისა და სხვა ფაკულტეტების წარმომადგენლებს, ისინი მხოლოდ ბაზისურ ცოდნას ფლობდნენ ინკლუზიური განათლების შესახებ და საუბრობდნენ იმაზე, რომ აღნიშნულ მოდელთან შეხება არ ქონიათ, სპეციალური საჭიროების მქონე პირებიც არ იყვნენ მათ სალექციო ჯგუფებში.

ამავე კვლევის შედეგად, შეგვიძლია ვისაუბროთ და დავასკვნათ, რომ კვლევაში მონაწილე ოთხივე უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი დადებითად არის განწყობილი სპეციალური საჭიროების მქონე პირების მიმართ. თითოეული მათგანი აღნიშნავს, რომ სპეციალური საჭროების მქონე პირები უნდა საწავლობდნენ უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებში, ვინაიდან განათლების უფლება ადამიანის ფუნდამენტური უფლებაა. მათი აზრით, სპეციალური საჭიროების მქონე პირებს

უნდა ჰქონეთ განვითარებისა და საკუთარი შესაძლებლობების მაქსიმალურად განვითარების საშუალება.

რაც შეეხება უნივერსიტეტის შიდა პოლიტიკას, ინკლუზიური განათლების მოდელის მიმართ გამოიკვეთა განსხვავებები უნივერსიტეტებში და ფაკულტეტებს შორისაც. კვლევაში მონაწილეები ერთხმად აღნიშნავენ, სახელმწიფო გარკვეულწილად ავალდებულებს უნივერსიტეტს, რომ დაწესებულებაში სპეციალური საჭიროების მქონე პირებსაც შეეძლოთ განათლების მიღების საშალება და არსებობდეს უნივერსიტეტებში ისეთი გარემო, რომ ხელმისაწვდომი იყოს განათლების მიღება ნებისმიერი საჭიროების მქონე პირისთვის. მაგრამ არსებული სიტუაცია განსხვავდება იმ მოთხოვნისგან, რაც უნივერსიტეტებს წაეყენება სახელმწიფოს მხრიდან, მაგალითად ილიას სახლემწიფო უნივერსიტეტი და ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ნაწილობრივად აკმაყოფილებენ ინკლუზიური განათლების სტანდარტებს, იგულისხმება ის ფაქტი, რომ აღნიშნული უნივერსიტეტების ზოგიერთი კორპუსი ადაპტირებულია და ინფრასტრუქტურაც გამართულია, მაგრამ ყველა კორპუსი არ არის ინფრასტრუქტურის კუთხით გამართული. აქედან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ ფაკულტეტი, რომელიც ინფრასტრუქტურის კუთხით გაუმართავ კორპუსშია, ფიზიკურად ვერ მიიღებს სპეციალური საჭიროების მქონე სტუდენტს და სპეციალური საჭიროების მქონე სტუდენტების მიღება იმ პროფესიაზე შესაძლებელი, რომლის საუდიტორიო მეცადინეობები ადაპტირებულ და ტექნიკურად გამართულ კორპუსში ტარდება. ეს გარემოება თანაბრად ეხება ილიას სახლემწიფო უნივერსიტეტსა და ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს. რაც შეეხება სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს, როგორც კვლევის შედეგად გაირკვა ინრფრასტრუქტურის კუთხით ძალიან გაუმართავია, არ არსებობს ელემენტარული პანდუსები, რომ ეტლით მოსარგებლეებმა შეძლონ დამოუკიდებლად გადაადგილება. სოხუმის უნივერსიტეტის შიდა პოლიტიკაზე საუბრისას, ხაზგასამელია ის ფაქტი, რომ განათლების ფაკულტეტი ინკლუზიური განათლების მიმართულებით აქტიურად ვითარდება, ეს ფაკულტეტი აქტიურად იღებს მონწილეობას სხვადასხვა პროექტებში,

გარდა ამისა ამ ფაკულტეტის წარმომადგენლებს უტარდებათ განმავითარებელი ტრენინგები და ისინი გაცილებით, უფრო მეტად არიან ინფორმირებულები და მზაობაც მათი მხრიდან უფრო მეტია. რასაც ვერ ვიტყვით იმავე უნივერსიტეტის სხვა ფაკულტეტებზე. რაც შეეხება ტექნიკურ უნივერსიტეტს, კვლევაში მონაწილე ორივე რესპონდეტი აღნიშნავს, რომ საჭიროა მეტი ჩართვა უნივერსიტეტის და სახელმწიფოს მხრიდან, გულისხმობენ ტრენინგებისა და პროფესიულ კადრების სიმცირეს, რომ მომზადებული დახვდნენ სპეციალური საჭიროების მქონე სტუდენტებს.

საყურადღებოა, ინკლუზიური განათლების მოდელის უმაღლეს სასწავლებლებში ეფექტურად და წარმატებით დანერგვისთვის ჯერ კიდევ ბევრი სამუშაოა, რასაც ოთხივე უნივერსიტეტის წარმომადგნლები აღნიშნავენ. მათი აზრით, პირველ რიგში უნივერსიტეტები უნდა გაიმართოს ინფრასტრუქტურის კუთხით და შემდეგ უკვე საუნივერსიტეტო სივრცეში დასაქმებულების განვითარებაზე ზრუნვა იქნება საჭირო, რომ უნივერსიტეტი და გარემო, სპეციალური საჭიროების მქონე პირს მოწესრიგებული და კომფორტული დახვდეს, რასაც ძალიან დიდი ფინანსები ჭირდება და ფიქრობენ, რომ სახელმწიფოს მხარდაჭერა ამ კუთხით ძალიან მნიშვნელოვანია.

რაც შეეხება კერძო უნივერსტიტებს, ამ კვლევის ფარგლებში 4 კერძო უნივერსიტეტი შეირჩა: საქართველოს საპატრიაქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი, თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტი, საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი და კავკასიის უნივერსიტეტი. განვიხილოთ თითოეული კერძო უნივერსიტეტის კვლევის შედეგად მიღებული მონაცემები ცალ-ცალკე, რაც დაგვეხმარება დავინახოთ რეალური სურათი, უნივერსიტეტებში არსებული ამჟამინდელი ვითარებისა.

საქართველოს საპატრიაქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი

კვლევის ფარგლებში, საქართველოს საპატრიაქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტიდან, კვლევაში

მონაწილეობა მიიღო ორმა წარმომადგენელმა : ერთ-ერთი ფაკულტეტის დეკანი და მეორე უშუალოდ უცხოენის ასოცირებული პროფესორი გახლდათ. აღნიშნული უნივერსიტეტის კვლევის შედეგები შემდეგია:

დამოკიდებულება ინკლუზიური განათლების სწავლების მოდელი მიმართ

ფაკულტეტის დეკანი ინკლუზიური განათლების მოდელზე საუბრისას აღნიშნავს, მიუხედავად იმისა, რომ განათლების სფეროშია დიდი ხანია, ნაკლებად ქონია შეხება ინკლუზიურ განათლებასთან, ნაკლებად ცნობილია მისთვის ის მოდელი, რომელიც აპრობირებულია ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში, აქედან გამომდინარე ინკლუზიური განათლების მოდელის მიმართ კონკრეტული ჩამოყალიბებული პოზიცია არ აქვს.

რაც შეეხება უცხოენების ასოცირებულ პროფესორს, მისი აზრით ინკლუზიურ განათლებას ძალიან დიდი მნიშვნელობა ენიჭება თანამედროვე საზოგადოებაში, ვინაიდანინკლუზიური განათლების სწავლების მიზანია გამორიცხოს პიროვნების დისკრიმინაცია და მისცეს მას განვითარების შესაძლებლობა. ნებისმიერ ადამიანს უნდა ჰქონდეს განათლების მიღების და საკუთარი შესაძლებლობის რეალიზების საშუალება.

დამოკიდებულება სპეციალური საჭიროების მქონე პირების მიმართ

დეკანის დამოკიდებულება სპეციალური საჭიროების მქონე პირების მიმართ ძალიან დადებითია. ამჟამად ყავთ რამდენიმე სტუდენტი უნივერსიტეტში, რომელიც საჭიროებს სპეციალურ პირობებს, იგულისხმებიან სტუდენტები, რომლებსაც აქვთ ფიზიკური გადაადგილების პრობლემა, ორი ეტლით მოსარგებლეა, ასევე ყავთ სტუდენტები, რომლებსაც მხედველობის პრობლემა აქვთ. მაგრამ დეკანი აღნიშნავს, რომ უნივერსიტეტი რეაგირებს მყისვე მოთხოვნებზე, მხედველობის პრობლემის მქონე პირებისთვის შეისყიდეს სპეციალური სახელმძღვანელოები, სწავლების

პროცესშიც მაქსიმალურად ეხმარებიან ლექტორები და გამოცდის მსვლელობისას მათთვის სპეციალურად უფრო მეტი დრო გამოიყოფა, ვიდრე სხვა სტუდენტებისთვის, რადგანაც მათ უფრო დიდი დრო სჭრდებათ. სპეციალური საჭროების მქონე პირებს, მხარდაჭერას უწევენ საგამოცდო ცენტრში მომუშავეები, საჭიროებისას, მხედველობის პრობლემის მქონე პირთათვის, მათთვის სხვა შრიფტის ზომით იბეჭდება საგამოცდო ტესტები და ასე შემდეგ. დეკანი ასევე იხსენებს, სტუდენტს, რომელსაც გადაადგილების პრობლემა ქონდა, იყო ეტლით მოსარგებლე და ის უნივერსიტეტმა დაასაქმა ადმინისტრაციაში გარკვეულ თანამდებობაზე, სადაც მას ევალებოდა არა ფიზიკური დატვირთვის საქმეები, არამედ უშუალოდ ის, რაც მას ნამვდილად შეეძლო, რომ შეესრულებინა. საქმე იყო ისეთი, რომელსაც ეს კონკრეტული სპეციალური საჭიროების მქონე პირი სრულად აკმაყოფილებდა, იგულისხმება შემომავალ ზარებზე პასუხი, გამავალი ზარების განხორციელება საჭიროებისას, ინფორმაციის მიწოდება დაინტერესებული პირებისთვის, რომლებიც ადგილზეც მოდიოდნენ, აღნიშული პირი, ამ მოვალეობას სრული დატვირთვით ართმევდა თავს.

დეკანი ხაზს უსვამს იმას, რომ მათ უნივერსიტეტში, სპეციალური საჭიროების მქონე სტუდენტები ყავთ არა მხოლოდ ბაკალავრიატის საფეხურზე, არამედ მაგისტრატურაზეც, და იხსნებს სტუდენტს, რომელიც ამჟამად სწავლობს მაგისტრატურაზე სამართლის ფაკულტეტზე, აღნიშნული სტუდენტის აკადემიური მოსწრება არის ნორმალური ,,არაფრით ჩამოუვარდება სხვებს, თუ არ უსწრებს სტუდენტებს.''

რაც შეეხება ლექტორებისა და თანატოლებისა დამოკიდებულებას სპეციალური საჭიროების მქონე პირების მიმართ, ის აღნიშნავს, რომ დამოკიდებულება არის აბსოლუტურად ჩვეულებრივი, არის ძალიან დადებითი. ლექტორებიც და თანატოლებიც კარგად ურთიერთობენ სპეციალური საჭიროების მქონე პირებთან, არანაირი დისკომფორტი არ ექმნებათ საუნივერსიტეტო სივრცეში სპეციალური საჭიროების მქონე პირებს და თანატოლებიც ძალიან ყურადღებიანად და კეთილად ექცევიან მათ, საჭროების შემთხვევაში უწევენ მეგობრულ დახმარებას და ასე შემდეგ.

ლექტორები ცდილობენ მაქსიმალური მხარდაჭერა გაუწიონ, მაგრამ არა ზედმეტად, რომ თავი განსხვაებულად იგრძნოს სპეციალური საჭიროების მქონე პირმა. დეკანი ფიქრობს, რომ სპეციალური საჭროების მქონე პირები თავს კარგად გრძნობენ აღნიშნულ უნივერსიტეტში, და ამას ადასტურებს მაგისტრატურის საფეხურზე მყოფი სპეციალური საჭიროების მქონე პირის არსებობა, რომელმაც ბაკალავრიატიც ამავე უნივერსიტეტში დაამთავრა. რესპოდენტის აზრით, რომ არ ყოფილიყო კარგი გარემო და აღნიშნულ სტუდენტს თავი კომფორტულად არ ეგრძნო ხსენებულ უნივერსიტეტში ის მაგისტრატურას იმავე უნივერსიტეტში არ გააგრძლებდა. ასევე საუბრობს იმაზე, რომ მას ხშრად აქვს შეხვედრები სტუდენტებთან და ლექტორებთან, აქედან გამომდინარე აქვს ინფორმაცია სასწავლო პროცესის მსვლელობის შესახებ, არანაირი გართულება არ დაფიქსირებულა სასწავლო პროცესის მსვლელობისას.

უცხოენების ასოცირებული პროფესორიც დადებითად არის სპეციალური საჭიროების მქონე პირების მიმართ განწყობილი, მისი აზრით მათ უნდა ჰქონდეთ უმაღლეს სასწავლებლებში განათლების მიღებაზე მეტი ხელშეწყობა. საუბრობს იმაზეც, რომ ამ მიმართულებით გადაიდგა გარკვეული პოზიტიური ნაბიჯები საჯარო სკოლებისა და პროფესიული სასწავლებლების დონეზე, რამაც გარკვეული დადებითი შედეგები მოგვცა. თუმცა უნივერიტეტის დონეზე ეს არ ხდება,სასურველია ანალოგიური მიდგომები დაინერგოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებშიც, რათა მომზადებული გარემო და პირობები დახვდეს სპეციალურის საჭიროების მქონე სტუდენტებს უმაღლეს სასწავლებლებში.

უნივერსიტეტის შიდა პოლიტიკის შეფასება ინკლუზიური განათლების მოდელის მიმართულებით

უნივერსიტეტის შიდა პოლიტიკაზე საუბრისას დეკანი აღნიშნავს, რომ მათი უნივერსიტეტი ინკლუზიური განათლლების ხელშეწყობის გაუმჯობესების კუთხით ამ ეტაპზე არანაირ ღონისძიებას არ გეგმას, უნივერსიტეტის შიდა პოლიტიკაში ცალკე ამ მიმართულებით არ არის რაიმე პროექტი გათვალისწინებული. ხაზს უსვამს, რომ არ ყოფილა მსგავსი მოთხოვნა და აქედან გამომდინარე არ გაკეთებულა რაიმე

კონკრეტული ღონისძებები ამ მიმართულებით. ძალიან ცოტა ყავთ სპეციალური საჭიროების მქონე სტუდენტები, თუმცა არ გამორიცხავს იმას, რომ მსგავსი სტუდენტების სიმცირე შეიძლება სწორედ მათი საუნივერსიტეტო პოლიტიკით იყოს გამოწვეული, გულისხმობს ისევ და ისევ უნივერსიტეტის შიდა პოლიტიკას, რომელშიც ცალსახად არ არის გამოხატული მსგავსი საჭროების მქონე სტუდენტების მოთხოვნებზე მორგების შესაძლებლობა. თუ უნივერსიტეტში იქნება სპეციალური საჭროების მქონე სტუდენტი, უნივერსიტეტი მაქსიმალურად ეცდება მისი საჭიროებების მოგვარებას და მისთვის შესაბამისი გარემო-პირობების შექმნაზე, მაგრამ ესე კონკრეტულად სპეციალური საჭიროების მქონე პირების მისაზიდად უნივერსიტეტი არ მოქმედებს, არ არის მის შიდა პოლიტიკაში ეს გათვალისწინებული. მიუხედავად ამისა, რესპონდენტი არ გამორიცხავს მომავალში ამ მიმართულებით განხორციელდეს ცვლილებები. თუ ბევრი სტუდენტი იქნება სპეციალური საჭიროების მქონე მათ უნივერსიტეტში, ის ფიქრობს, რომ ეს საკითხი აუცილებლად დადგება დღის წესრიგში და ეს უნივერსიტეტის შიდა პოლიტიკაში შეიძლება აისახოს.

რაც შეეხება უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურას, უნივერსიტეტში ინფრასტრუქტურა სრულად აპრობირებულია სპეციალური საჭიროების მქონე პირებისთვის, არსებობს პანდუსები, ლიფტი და სხვა საშუალებები, რაც სჭირდებათ, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს. ამას გარკვეულწილად სახელმწიფოც ავალდებულებს, და ეს აკრედიტაციის გავლისთვის არის საჭირო. დეკანი აღნიშნავს, რომ უნივერსიტეტი ტექნიკურად სრულიად გამართულია და მოთხოვნის შესაბამისად ხდება გაუმჯობესება და დახვეწა სხვადასხვა მიმართულებით. თუმცა აქვე საუბრობს იმაზე, რომ უნივერსიტეტში აკადემიური პერსონალის გადამზადება, დატრენინგება არ ხდება ამ მიმართულებით და ეს ძალიან ცუდია. რადგან აკადემიურ პერსონალს ყოველივე გამოცდილების გარეშე, მოუმზადებლად უხდება ფაქტის წინ დადგომა, მისი აზრით კარგი იქნება თუ სახელმწიფო, კონკრეტულად კი განათლების სამინისტრო შექმნის რამე პროგრამას და მოხდება საუნივერსიტეტო სივრცში მომუშავე პირების მომზადება ამ მიმართულებით, რომ ქონდეთ ინფორმაცია კონკრეტულ შემთხვევაში :

,, კარგი იქნება, თუ განათლების სამინისტრო უზრუნველყოს უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლების და ადმინისტრაციაში დასაქმებული ადამიანების დატრენინგებას, რათა ისინი მომზადებული შეხვდენენ და ფაქტის წინაშე არ დადგნენ მსგავსი სტუდენტების წინაშე. განათლების სამინისტრო ახორციელებს სკოლის დონეზე მსგავს ღონისძიებებს, უნივერსიტეტებში კი არა, რამაც შეიძლება ხელი შეუშალოს სპეციალური საჭიროების მქონე პირებს განათლების ხარისხიან მიღებაში.''

უნივერსიტეტის შიდა პოლიტიკაზე საუბრისას, უხცოენების ასოცირებული პროფესორიც აღნიშნავს, რომ უნივერსიტეტს არ აქვს რაიმე პროგრამა, რაც უშუალოდ ინკლუზიური განათლების მოდელის განვითარებას შეუწყობსხელს. მაგრამ თუ კი შემთხვევა ფიქსირდება უნივერსიტეტში და სტუდენტს ესაჭიროება სპეციალური პირობები, უნივერსიტეტი რეაგირებს და მაქსიმალურად ცდილობს საჭიროებების დაკმაყოფილებას მათთვის. რაც შეეხება უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურას, ადაპტირებულია სრულიად სპეციალური საჭიროების ადამიანებისთვის და მათ არ ექმნებათ გადაადგილების პრობლემა. თუმცა აქვე აღნიშნავს, იმისათვის რომ ინკლუზიური განათლების მოდელი უფრო ეფექტურად დაინერგოს უნივერისტეტში, კარგი იქნება თუ განმავითარებელი ტრენინგები ამ მსგავსი რამ ჩატარდება უნივერსიტეტის დონეზეც, რათაპედაგოგებისა და ადმინისტრაციის თნამშრომლების გადამზადება მოხდეს, იმისათვის რომ ისინი მომზადებული დახვდნენ სპეციალური საჭიროების მქონე სტუდენტებს და შესაბამისი მომსახურება გაუწიონ და არ შეიქმნას რაიმე პრობლემა ფაქტის წინაშე დადგომისას.

მეორე კერძო უნივერსიტეტი, რომელიც კვლევის ფარგლებში შეირჩა, თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტია, სადაც გამოვიკითხეთ ერთ-ერთი მიმართულების დეკანი და მისი თანაშემწე. სადაც გამოიკვეთა შემდეგი მიდგომები.

თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტი

დამოკიდებულება ინკლუზიური განათლების მოდელის მიმართ:

დეკანი აღნიშნავს, რომ ინკლუზიური განათლების მოდელი დღეს უკვე კარგად განვითარებულია, მათ უნივერსიტეტში კი სრულად ადაპტირებული გარემო აქვთ, როგორც ინფრასტრუქტურის კუთხით, ასევე უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის კუთხითაც. აქვე საუბრობს იმაზე, რომ უნივერსიტეტი ატარებს სპეციალურ პოლიტიკას, მას აქვს განსხვავებული და მორგებული მიდგომა ნებისმიერი სტუდენტის მიმართ, სტუდენტზე მორგებული პოლიტიკა ტარდება უნივერსიტეტში და ამ პოლიტიკას ითვალისწინებენ, როგორც პროფესორები, ასევ ადმინისტარაციაში მომუშავე პირებიც.

დეკანის თანაშემწე ინკლუზიური განათლების მოდელის შესახებ საუბრისას აღნიშნავს, რომ ინკლუზიური განათლება არის მიდგომა, რომელიც გულისხმობს, განსხვავებული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის განათლების მიღების ხელმისაწვდომობას. აღნიშნული რესპონდენტის თქმით, დღესდღეობით განათლების ეს მოდელი განვითარების სტადიაშია. თუმცა ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ სწავლების ეს მიდგომა, კერძო უნივერსიტეტების დონეზე უფრო განვითარებული და სტანდარტებს მიახლებულია, ვიდრე სახელმწიფო უნივერსიტეტის დონეზე, შეიძლება ითქვას, რომ : ,, კერძო უნივერსიტეტების დონეზე სრულად მორგებული და ადაპტირებულია.''

დამოკიდებულება სპეციალური საჭიროების მქონე პირების მიმართ:

დეკანის დამოკიდებულება, სპეციალური საჭიროების მქონე პირების მიმართ, როგორც მან ჩვენთან საუბრისას აღნიშნა არის ძალიან დადებითი და თან ობიექტური, ის თვლის, რომ ნებისმიერმა პროფესორმა თუ ადმინისტრაციის წევრმა სრულად უნდა გაითავისოს სტუდენტის მდგომარეობა და უნდა მოხდეს მათი შესაძლებლობების განსაზღვრა-შეფასება.

დეკანის თანაშემწე კი აღნიშნავს, მათ უნივერსიტეტში სპეციალური საჭიროების მქონე პირების მიმართ დამოკიდებულება არის პოზიტიური და სრულიად

ბუნებრივი. როგორც პროფესორებს და ადმინისტრაციული განყოფილების თანამშრომლებს, ასევე სტუდენტებსაც ძალიან კარგი დამოკიდებულება აქვთ სპეციალური საჭიროების მქონე პირების მიმართ, იგრძნობა მხარდაჭერა, რაც გამოიხატება სასწავლო მასალის მარტივად ათვისებასა და გაცნობაში, ასევე საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ ლექტორები სტუდენტების შესაძლებლობების მიხედვით გეგმავენ სწავლების პროცესს და მაქსიმალურად ცდილობენ მათზე მორგებულო მიდგომის გამოყენებას, თუმცა ეს არ გულისხმობს სასწავლო კურსის ცვლილებას, უბრალოდ იცვლება სწავლების მიდგომა, რომ ნებისმიერი სტუდენტისთვის იყოს სასწავლო პროცესი კომფორტული და შეძლოს ხარისხიანი განათლების მიღება.

უნივერსიტეტის შიდა პოლიტიკის შეფასება ინკლუზიური განათლების მოდელის მიმართულებით:

უნივერსიტეტის შიდა პოლიტიკაზე საუბრისას, დეკანი თემას, უნივერსიტეტის ინრფრასტრუქტურაზე საუბრით იწყებს და ისევ და ისევ ხაზს უსვამს, იმ ფაქტს, რომ უნივერისტეტში ინფრასტრუქტურა არის მთლიანად მოწესრიგებული და ადაპტირებული, სპეციალური საჭიროების მქონე პირებისათვის. აქ საუბარია, არა მხოლოდ პანდუსებზე და მარტივ რაღაცეებზე, არამედ: ,,უნივერსიტეტში ლიფტიც კი ადაპტირებულია, კარების ზომა და კლასებიც სტანდარტების შესაბამისად არის მოწყობილი,'' აღნიშნავს დეკანი, აქვე აღნიშნავს იმასაც, რომ უნივერისტის პოლიტიკა სრულიად მორგებულია სტუდენტებზე და მუდმივად მიმდინარეობს უნივერსიტეტის შიდა პოლიტიკის დახვეწა და განვითარება. შიდა პოლიტიკა აქვთ სტუდენტზე მორგებული, ნებისმიერი სტუდენტის მდგომარეობიდან და საჭიროებიდან გამომდინარე.

დეკანის თანაშემწეს საუბრობს იმაზე, რომ უნივერსიტეტის შიდა პოლიტიკა ინკლუზიური განათლების კუთხით მნიშვნელოვნად განვითარებულია, და ითვალისწინებს ძირითად მოთხოვნებს. პირველ რიგში მთავარი ის არის რომ უნივერსიტეტი ღიაა და მზად არის სპეციალური საჭიროების მქონე სტუდენტის მისაღებად. აქვე აღნიშნავს იმასა, რომ უნივერსიტეტში ამჟამადაც სწავლობენ

სხვადასხვა საჭიროების მქონე სტუდენტები, მათი უმრავლესობა ძირითადად სწავლობს ფილოლოგიას, თუმცა არიან სხვა ფაკულტეტებზეც, მაგრამ მცირე რაოდენობით. უნივერსიტეტში ძმიმე შეძღუდვის მქონე სტუდენტები არ ყავთ, უფრო მეტად აუტისტები და ფიზიკური გადაადგილების მქონე სტუდენტები სწავლობენ. სპეციალური საჭიროების მქონე სტუდენტებთან ინდივიდუალურ მიდგომას იყინებენ, როგორც ადმინისტრაციაში დასაქმებულები, ასევე პროფესორებიც. უნივერსიტეტში არსებული სიტუაციიდან გამომდინარე, სტუდენტები მარტივად ადაპტირდნენ საუნივერსიტეტო სივრცეში აღნიშნავს დეკანის თანაშემწე. მისი თქმით, სტუდენტებიც ამაზე სპეციალური საჭიროების მქონე სტუდენტებიც მიუთითებენ, რომ მათ მარტივად შეძლეს გარემოს მორგება: ,,არცერთი მათგანი არ ყოფილა ბულინგის მსხვერპლი, პირიქით აქ სოლიდარობის მომენტიცაა, როგორც ლექტორების, ასევე სტუდენტების მხრიდანაც.''

უნივერსიტეტის შიდა პოლიტიკის შეფასება ინკლუზიური განათლების მოდელის მიმართულებით:

დეკანმა უნივერსიტეტში სწავლების ამჟამინდელ პროცესზე საუბრისას აღნიშნა, რომ ყოველი წლის დასაწყისში უნივერსიტეტის პოლიტიკა ითვალისწინებს ერთ საერთო პრეზენტაციას, რომელიც გულისხმობს სწავლების მიდგომების გაცნობას სტუდენტებისთვის და პედაგოგებისთვის, რაც მოიაზრებს ინკლუზიური განათლების მიდგომებსაც და მსგავსი სტუდენტების არსებობის შემთხვევაში მათი შესაძლებლობების განსაზღვრას.

დეკანის თანაშემწე უნივერსიტეტის შიდა პოლიტიკაზე საუბრისას აღნიშნავს, რომ უნივერსიტეტში მუდმივად ტარდება განმავითრებელი ტრენინგები, რომლებიც არა მხოლოდ პროფესორებს, არამედ ადმინისტრაციაში დასაქმებულებსაც ეხება. ტრენინგებზე სხვადასხვა თემები და საკითხები განიხილება, მათ შორის ერთ-ერთ საკითხად შედის ინკლზიური განათლების მოდელიც, მაგრამ ცალკე ამ მიმართულებით მუშაობა ამ ეტაპზე არ მიმდინარეობს, თუმცა სამომავლოდ იგეგმება უფრო კონკრეტულად ინკლუზიური განათლების ხელშეყობისთვის სხვადასხვა

ღონისძიებები. ამ ეტაპზე კი ინკლუზიური განათლების და სწავლების მეთოდების ზოგადი გაცნობა ხდება.

სახელმწიფოს და კერძო უნივერსიტეტებში არსებული შიდა პოლიტიკების განსხვავებაზეც ისაუბრა დეკანმა და აღნიშნა :

> *გამომდინარე იქიდან რომ ჩვენი არის კერძო უნივერსიტეტი, აქ მოთხოვნა და მომსახურება ყოველთვის მაღალი იქნება და უნდა იყოს. ნებისმიერ კერძო უნივერსიტეტს მოუწევს ამ სტანდარტების დაცვა, კონკურენციიდან გამომდინარე პირველ რიგში, ეს არ არის მარტო კეთილი ნება ადმინისტრაციის, აქ მუშაობს სხვა კანონები, აქ მუშაობს კონკურენცია. კერძო უნივერსიტეტები აუცილებლად დახვეწენ ამ მიმართულებასას სხვა მიმართულებებთან ერთად, იმიტომ რომ ასე მოითხოვს ბაზარი. ეს წარმოაჩენს უკეთესად უნივერსიტეტს*

დეკანის საუბრობს ასევე, სახელმწიფოს მხრიდან მხარდაჭერაზე და ის ფიქრობს, რომ მხოლოდ ფინანსები არ არის საკმარისი, პირველ რიგში აუცილებელია დახვეწილი მაღალი სტანდარტები და კანონები, და აღსრულების მონიტორინგი. რაც შეეხება უნივერსიტეტის ამჟამინდელ მდგომარეობას, ის საუბრობს, რომ:

> *დავიწყოთ იმით, რომ უნივერსიტეტს აქვს გრძელვადიანი და მოკლევადიანი სტრატეგია და ამ სტრატეგიაში არის გათვალისწინებული ეს მიმართულება, რა თქმა უნდა. ასევე ვგეგმავთ, საცხოვრებელი კამპუსის მშენებლობას სტუდენტებისთვის, სადაც გათვალისწინებული იქნება, როგორც ინფრასტრუქტურულ დონეზე, ასე სხვა მიმართულებებით ინკლუზიური სტუდენტებისთვის საჭირო პირობები მაქსიმალურად, რაც შეეხება ვთქვათ იგივე გადამზადებას ადმინისტრაციისა და პედაგოგების, აქაც ტრენინგების დონეზე უნივერსიტეტი იმოქმედებს აუცილებლად.*

დეკანის თანაშემწე კი ჩვენთან საუბრისას, ხაზს უსვამს სახელმწიფოს, როგორც საკანონმდებლო ორგანოს მნიშვნელობას. სახელმწიფოს მხარდაჭერა განათლების მოდელის დახვეწისა და განვითარებისთვის აუცილებელია:

> *პირველ რიგში ყველაფერი იწყება საკანონმდებლო რეგულაციებით, უნდა იყოს გამართული კანონმდებლობა, ანუ მე ვხედავ ორ რაღაცაში გამოსავალს ანუ ეს არის გამართული კანონმდებლობა და არსებული კანონმდებლობის შესრულების მონიტორინგი, ეს ორი რამ ყველაფერში ესეა და არამარტო ამ საკითხში ჩემი აზრით, ანუ როცა კანონმდებლობა გამართულია და როცა კანონი მუშაობს მაშინ არის საზოგადოებრივი შეგნება მაღალი, გამართული კანონმდებლობაა საღირო, ანუ უნდა იყოს სახელმწიფომ უნდა ჩამოაყალიბოს გამართული ინკლუზიური კუთხით კანონმდებლობა, სტანდარტები უნდა დააწესოს მაღალი და ამ სტანდარტების შესრულების გაკონტროლება უნდა მოხდეს.*

აქვე საუბრობს იმაზეც, რომ კერძო სექტორი ყოველთვის გაუსწრებს სახელმწიფო უნივერსიტეტს, რადგან მას გაცილებით მაღალი სტანდარტების დაცვა მოეთხოვება, ის ბაზარზე კონკურენტუნარიანია.

საბოლოოდ, რომ შევაჯამოოთ, შეიძლება ითქვას, რომ ღია სასწავლო უნივერსიტეტი სრულად ადაპტირებული და მიმღებელია ინკლუზიური სტუდენტების მიმართ, ორივე რესპონდენტი თვლის, რომ უნივერსიტეტი მზად არის ნებისმიერი საჭიროების მქონე სტუდენტის მისაღებად. ისინი აღნიშნავენ, რომ სახელმწიფო, მაინც სახელმწიფო უნივერსიტეტია და რისკები გაცილებით ნაკლებია, ამიტომ ბიზნესი და კერძო სექტორი ვალდებულია უფრო აქტიური იყოს და წინ წავიდეს, რათა რისკები თავიდან აიცილოს. შესაბამისად, კერძო უნივერსიტეტი მაინც წინ უსწრებს სახელმწიფო უნივერსიტეტს. ასევე აღნიშნეს ისიც, რომ კომუნიკაციის მომენტი ყველაზე მნიშვნელოვანია ადმინისტრაციასა და სტუდენტებს შორის, რაც კერძოში ბევრად უფრო მარტივია.

საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი

კვლევაში მონაწილე, მესამე კერძო უნივერსიტეტი, საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტია. რესპონდენტებს, სოციალურ მეცნიერებათა ასოცირებული პროფესორი და ტურიზმის ფაკულტეტის პროფესორი წარმოადგენდა. ინტერვიუების შედეგად გამოიკვეთა შემდეგი ძირითადი შედეგები:

დამოკიდებულება ინკლუზიური განათლების სწავლების მოდელი მიმართ

სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი აღნიშნავს, რომ ზოგადად, ინკლუზიური განათლების სწავლების იდეა გულისმობს თანაბარი შესაძლებლობების მიცემას სწავლებისა და ხარისხიანი განათლების მიღების, რასაც მივესალმები.

ტურიზმის მიმართულების პროფესორი კი საუბრობს იმაზე, რომ ინკლუზიური განათლების მოდელი საკმაოდ ფართომაშტაბიანია, როგორც სასკოლო, ისე საუნივერსიტეტო დონეზე, თუმცა აქ ჯერჯერობით საჭიროებს სამუშაოებს. სწავლების მოდელი დახვეწის და განვითარების ეტაპზეა.

დამოკიდებულება სპეციალური საჭიროების მქონე პირების მიმართ

სოციალურ მეცნიერებათა ლექტორი აღნიშნავს, რომ ბავშვის უფლებების კონვენციის თანახმად, განათლების მიღება, ყველა ბავშვის ფუნდამენტური უფლებაა. შესბამისად, ინკლუზიური განათლების დანერგვა და განვითარების პროცესის მართვა არის ჩვენი ეროვნული სასწავლო გეგმის ნაწილი.მივესალმები და მხარსდავუჭერ მსგავს ღონისძიებებს და აქტივობებს, რომელიც ხელს შეუწყობს ინკლუზიური განათლების დანერგვა და განვითარებას. ის ასევე დადებიტადაა განწყობილი მსგავსი პირების მიმართ.

ტურიზმის ფაკულტეტის პროფესორი კი თვლის, რომ სპეციალური საჭიროების მქონე პირები საჭიროებენ მხარდაჭერას და სოლიდარობას, ისნი უნდა სწავლობდნენ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში, იქნება ეს სკოლა თუ უმაღლესი სასწავლებელი.

უნივერსიტეტის შიდა პოლიტიკის შეფასება ინკლუზიური განათლების მოდელის მიმართულებით

სოციალურ მეცნიერებათა პროფესორი აღნიშნავს, რომ საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი მხარს უჭერს ინკლუზიური სწავლების მოდელის განვითარებას. ამას ადასტურებს ისიც, რომ უნივერსიტეტის ახალი კამპუსის ინფრასტრუტურა და ძველიც სრულიან ადაპტირებულია. ის ბოლომდე მორგებულია სტანდარტებს და მიმღებლობის ხარისხიც საკმაოდ მაღალია, როგორც ლექტორებში, ასევე სტუდენტებშიც.

ტურიზმის მიმართულების პროფესორიც საუბრობს, უნივერსიტეტის მხარდამჭერ პროგამებზე, რომელიც გარკვეულწილად თავის თავში ინკლუზიური მოდელის განვითარების ეტაპებს და შესწავლის მიდგომებს მოიაზრებს.

საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის ორივე პროფესორი, ხაზს უსვამს განათლების ხელმისაწვდომობის მნიშვნელობაზე, ვინაიდან განათლება საშუალებას აძლევს ინდივიდს აიმაღლოს ცოდნა და ცნობიერება. მათი აზრით, ნებისმიერი საჭიროების მქონე პირს უნდა ჰქონდეს განათლების მიღების შესაძლებლობა. მათი უნივერსიტეტი კი მზად არის მიიღოს სპეციალურის საჭიროების მქონე პირი და მისცეს მათ ხარისხიანი განათლების მიღების საშუალება.

კავკასიის უნივერსიტეტი

და ბოლოს მეოთხე კერძო უნივერსიტეტი, რომელიც ამავე კვლევის ფარგლებში მონაწილეობდა არის კავკასიის უნივერსიტეტი. კავკასიის უნივერსიტეტიდან რესპონდენტს წარმოადგენდა, ერთ-ერთი ფაკულტეტის სტუდენტებთან ურთიერთობის სპეციალისტი. აღნიშნული უნივერსიტეტი კვლევის შედეგები შემდეგია:

ინკლუზიური განათლების სწავლების მოდელი მიმართ დამოკიდებულება

კავკასიის უნივერსიტეტის, სტუდენტებთან ურთიერთობის სპეციალისტი ინკლუზიურ განათლებაზე საუბრისას აღნიშნავს, რომ საქართველოში ინკლუზიური განათლება ჯერ კიდევ განვითარების სტადიაზე, რადგანაც დიდი ხანი არ არის, რაც ამ მოდელის აქტიურად დანერგვა დაიწყო ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში. სწავლების ეს მიდგომა და მისი მიზანი აბსოლუტურად პოზიტიურია და ყველა ადამიანს აძლევს შესაძლებლობას მიიღოს შესაბამისი განათლება, იქნება ეს სკოლის, პროფესიული თუ უმაღლესი სასწავლებლების დონეზე. თუმცა, ეს მოდელი განსხვავებულად ვითარდება ხსენებულ სამ დაწესებულებას შორის, ამ ეტაპზე სკოლის და პროფესიული სასწავლებლების დონეზე უფრო მეტად განვითარებულია ეს მოდელი, ვიდრე უნივერსიტეტის დონეზე. თუმცა უნივერსიტეტებიც განსხავდებიან ერთანეთისგან. ზოგიერთი უმაღლესი სასწავლებელი უფრო მეტად არის მზად მიიღოს სპეციალური საჭიროების მქონე სტუდენტი დაწესებულებაში, ზოგიერთი კი უფრო ნაკლებად. ამ შემთხვევაში კერძო უნივერსიტეტები უფრო წინ არიან, თუნდაც ინფრასტრუქტურის კუთხით, კერძო უნივერსიტეტებში არსებული ინფრასტრუქტურა უმრავლეს შემთხვევაში გამართულია და არსებობს სპეციალური საჭიროების მქონე პირებისთვის ადაპტირებული გარემო. განიხილავს საკუთარი უნივერსიტეტის მაგალითს და აღნიშნავს, რომ უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურა არის მორგებული სტანდარტებს, არსებობს პანდუსები, სველი წერტილი და ყველაფერი ის, რაც აუცილებელია სპეციალური საჭიროების მქონე პირებისთვის.

დამოკიდებულება სპეციალური საჭიროების მქონე პირების მიმართ

სტუდენტებთან ურთიერთობის სამსახურის სპეციალიტს ძალიან პოზიტიური დამოკიდებულება აქვს სპეციალური საჭიროების მქონე პირების მიმართ და მიაჩნია, რომ ისინი უნდა სწავლობდნენ უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებში და უნივერსიტეტებში უნდა არსებობდეს შესაბამისი გარემო, რადგანაც განათლების უფლება ადამიანის ფუნდამენტური უფლებაა. აქვე საუბრობს იმაზეც, რომ მათ უნივერსიტეტში ყველა პირობაა შექმნილი იმისთვის, რომ სხვდასხვა საჭიროების

მქონე სტუდენტებმა შეძლონ განათლების მიღება და მოახდინონ საკუთარი თავის რეალიზება. ნებისმიერი უნივერსიტეტი უნდა ცდილობდეს განვითარებას ამ მიმართულებით, რადგანაც ინკლუზიური განათლების წარმატებით დანერგვა საზოგადიოებისთვის ძალიან მნიშვნელოვანია.

უნივერსიტეტის შიდა პოლიტიკის შეფასება ინკლუზიური განათლების მოდელის მიმართულებით

უნივერსიტეტის შიდა პოლიტიკაზე საუბრისას კი რესპონდენტი აღნიშნავს, რომ კავკასიის უნივერსიტეტის შიდა პოლიტიკა ითვალისწინებს სპეციალური საჭიროების მქონე პირებისთვის განათლების მიღების შესაძლებლობას, არსებობს შესაბამისი ინრასტრუქტურული მზაობა, აკადემიური პერსონალიც ღიაა აღნიშნული პირების მიმართ. უნივერსიტეტში ამჟამადაც არიან სხვადასხვა საჭიროების მქონე პირები, აქ საუბარია ფიზიკური გადაადგილების პრობლემის მქონე და შეზღუდული მხედველობის მქონე სტუდენტებზე. უნივერსიტეტი ცდილობს მაქსიმალურად შეუქმნას მათ კომფორტული გარემო, პროფესორებიც და თანატოლებიც დადებითად მოქმედებენ სპეციალური საჭიროების მქონე პირების ადაპტაციის პროცესზე და ის თავს გაუცხოებულად ნამდვილად არ გრძნობენ. პირიქით, აქტიურად არიან ჩართული სასწავლო პროცესში.

საბოლოოდ, კერძო უნივერსიტეტების, კვლევის შედეგად, შეიძლება ითქვას, რომ აბსოლუტურად ყველა უნივერსიტეტი მზად არის მიიღოს სპეციალური საჭროების მქონე სტუდენტი სასწავლებელში, მათი დამოკიდებულება აღნიშნული პირების მიმართ არის ძალიან პოზიტიური, ისინი ფიქრობენ, რომ ნებისმიერი საჭიროების მქონე პირს აქვს უფლება მიიღოს განათლება, რადგანაც ეს ადამიანის კანონიერი უფლებაა. უნივერსიტეტის წარმომადგენლები ხაზს უსვამენ იმაზე, რომ ნებისმიერი უნივერსიტეტი მზად უნდა იყოს სპეციალური საჭიროების მქონე პირების მისაღებად და მათ კომფორტული სასწავლო გარემო უნდა შეუქმნან. კერძო უნივერსიტეტები, რომლებიც კვლევაში მონაწილეობდნენ სრულად მორგებული და გამართულია ინფრასტრუქტურის კუთხით, უნივერსიტეტებში არსებობს პანდუსები,

ადაპტირებული ლიფტი და სველი წერტილი, ასევე სპეციალური ზომის კარები და სასწავლო კლასები - ოთახები. კვლევაში მონაწილე უნივერსიტეტებიდან, მხოლოდ თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტში ტარდება ტრენინგები, ინკლუზიური განათლების კუთხით ცოდნის გასაღრმავებლად, აკადემიური პერსონალის დონეზე. დანარჩენ უნივერსიტეტბში მსგავსი შემთხვევა არ დაფიქსირებულა, საქართველოს საპატრიაქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის წარმომადგნელები საუბრობენ მსგავსი ტრენინგების მნიშვნელობაზე და იმედოვნებენ რომ განათლების სამინისტროს მხარდაჭერით განმავითარებელი ტრენინგები ჩატარდება, საქართველოში არსებულ უმაღლეს სასწავლებლებში, იმისათვის, რომ აკადემიური პერსონალი მზად დახვდეს სპეციალური საჭიროების ქმონე პირს და არ შეიქმნას რაიმე გართულება სასწავლო პროცესის მსვლელობისას. ეს უფრო ხარისხიანი განათლების მიღების შესაძლებლობას მისცემს აღნიშულ პირებს.

კერძო უნივერსიტეტების წარმომადგენლები საუბრობენ იმაზეც, რომ საქართველოში კერძო უნივერსიტეტები უფრო მეტად არიან მზად, სპეციალური საჭიროების მქონე პირების მისაღებად, ვიდრე სახელმწიფო უნივერსიტეტები. გულისხმობენ უნივერსიტეტების ტექნიკურად გამართულობას, მათი აზრით კერძო უნივერსიტეტი უფრო მეტად მორგებული და გამართულია ინფრასტრუქტურის კუთხით, ინკლუზიური განათლების სტანდარტების შესაბამისად, ვიდრე სახელმწიფო უნივერსიტეტები. ამას ხსნიან იმით, რომ კერძო უნივერსიტეტებს შორის არესბებობს მაღალი კონკურენცია და ისინი ვალდებულნი არიან დააკმაყოფილონ მოთხოვნა და მიისწრაფოდნენ უფრო მეტად განვითარებისათვის, რომ არ დაკარგონ საკუთარი ადგილი ბაზარზე, ამისთვის მათ შეძლონ არსებულ მოთხოვნებზე პასუხი და შესაბამისად, არსებული მოხდეს მოთხოვნების გათვალისწინება და განვითარება. სახელმწიფო უნივერსიტეტბს შორის კი კონკურენციაც ნაკლებია, მათ ბიუჯეტიც გაცილებით ნაკლები აქვთ და სწრაფად განვითარებას და მოთხოვნებზე რეაგირებასაც გაცილებით დიდი დრო ჭირდება. აქედან გამომდინარე, ფიქრობენ რომ კერძო უნივერსიტეტებში სპეციალური საჭიროების მქონე სტუდენტების ადაპტაცია გაცილებით მარტივია და საუბრობენ იმ წარმატებულ შემთხვევებზე, რომლებიც ბოლო დროის განმავლობაში ჰქონდათ. გულისხმობენ სპეციალური საჭიროების

მქონე პირების აკადემიური მოსწრებას, რომელიც ხშირ შემთხვევაში საშუალოზე მაღალი და კარგია. მსგავსი სტუდენტები არა მხოლოდ ბაკალავრზე, არამედ მაგისტრატურაზე ჰყოლიათ და ჰყავთ, როგორც აღნიშნავს, საქართველოს საპატრიაქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი წარმომადგენელი. თუმცა აქვე აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ სპეციალური საჭიროების მქონე სტუდნტები უმაღლეს სასწავლებლებში, ძირითადად სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა, სამართლისა და ჰუმანიტარული ფაკულტეტის მიმართულებაზე სწავლობენ. რაც მიუთითებს იმაზე, რომ ინკლზიური განათლების მოდელი, აღნიშნული ფაკულტეტების დონეზე უფრო მეტად განვითარებულია.

კერძო უნივერსიტეტების კვლევის შედეგად ასევე გამოიკვეთა, სახელმწიფოს როლი ინკლუზიური განათლების მოდელის უკეთ განვითარებისათვის. რესპონდენტები საუბრობენ იმაზე, რომ სახელმწიფომ მაქსიმალურად უნდა შეუწყოს ხელი ამ მოდელის წარმატებით დანერგვას, უნდა მოხდეს კანონით დადგენილი რეგულაციების კონტროლი, მონიტორინგი. რაც საშუალებას მოგვცემს, უფრო ხარისხიანი განათლების მიღების შესაძლებლობა ჰქონდეთ, ნებისმიერი საჭიროების მქონე პირებისთვის. სახელმწიფოს როლი ძალიან მნიშვნელოვანია და მან უფრო მეტი ღონისძიებები უნდა გაატაროს, რათა მოდელი მაქსიმალურად ეფექტურად დაინერგოს ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში.

დასკვნა

კვლევის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ თბილისის კერძო და სახელმწიფო უნივერისტეტის აკადემიური პერსონალის დამოკიდებულება, ინკლუზიური განათლების მოდელის მიმართ არის ძალიან პოზიტიური. ისინი საუბრობენ, უშუალოდ, ინკლუზიური განათლების მოდელის იდეაზე, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია, რომ განათლება იყოს ნებისმიერი ადამიანისთვის ხელმისაწვდომი. ხაზს უსვამენ იმ ფაქტს, რომ განათლების უფლება ადამიანის ფუნდამენტური და კანონიერი უფლებაა. მათი აზრით, ნებისმიერი უნივერსიტეტი მზად უნდა იყოს განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირის მისაღებად. სპეციალური საჭიროების მქონე პირებს უნდა შეეძლოთ სხვადასხვა სახის განათლების მიღება, იქნება ეს სასკოლო, პროფესიული თუ უმაღლესი სასწავლებლის დონეზე, რათა მათ შეძლონ საკუთარი თავის მაქსიმალურად რეალიზება. საქართველოში ინკლუზიური განათლების მოდელი ჯერ კიდევ განვითარების ეტაპზეა, ნელ-ნელა ვითარდება და იხვეწება. თუმცა აღსანიშნავია, აკადემიური პერსონალის აზრით, სასკოლო დონეზე უფრო მეტი წინ გადადგმული ნაბიჯია და საუნივერსიტეტო დონეზეც აქტიური ჩართვა და მუშაობაა საჭირო, რათა წარმატებით დაინერგოს ეს მოდელი უმაღლეს სასწავლებლებში.

აღსანიშნავია ისიც, რომ კვლევაში მონაწილე რესპონდენტები პოზტიურად არიან განწყობილნი სპეციალური საჭიროების მქონე პირების მიმართ, ისინი მზად არიან მსგავსი საჭიროების მქონე სტუდენტების მისაღებად და ფიქრობენ, რომ ისინი აუცილებლად უნდა სწავლობდნენ უმაღლეს სასწავლებლებში.

რაც შეეხება უნივერსიტეტებში არსებულ ინფრასტრუქტურას, კვლევის შედეგად ნათელი გახდა, რომ კერძო უნივერსიტეტები, რომლებიც ამ კვლევის ფარგლებში მონაწილეობდნენ, აბსოლუტურად მორგებული ინფრასტრუქტურის მქონენი არიან. მათ აქვთ შესაბამისი ლიფტები, პანდუსები, სველი წერტილი და ა.შ რაც შეეხება სახემწიფო უნივერსიტეტებს, ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანი განსხვავება არსებობს, ზოგიერთი უნივერსიტეტი ნაწილობრივ ადაპტირებულია, მაგალითად ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტი და

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი. ნაწილობრივ ადაპტირებულიაში იგულისხმება შემდეგი, უნივერსიტეტის ძირითადი კორპუსები ადაპტირებულია, დანარჩენი კი არა. რაც შეეხება სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტს, ამ შემთხვევაში საქმე უფრო რთულადაა, ინფრასტრუქტურა ძალიან გაუმართავია, არ არსებობს ელემენტარული პანდუსები, რომ სპეციალური საჭიროების მქონე პირებმა დამოუკიდებლად შეძლონ გადაადგილება, სხვა შემთხვევებზე რომ აღარ ვისაუბროთ. იქიდან გამომდინარე, რომ სახელმწიფო უნივერსიტეტებში გამართული ინფრასტრუქტურის პრობლემაა, ამაზე აღნიშნული უნივერსიტეტების წარმომადგელებიც ხაზს უსვამენ და საუბრობენ, რომ დიდი ბიუჯეტია საჭირო იმისთვის, რათა ინფრასტრუქტურა იყოს მორგებული ინკლუზიური განათლების მოდელის სტანდარტებს. სახელმწიფოს მხრიდან დაფინანსების მნიშვნელობაზე საუბრობენ, მეტი ფინანსური მხარდაჭერაა საჭირო და ეს მხარდაჭერა საჭიროა, როგორც უნივერისტეტის დონეზე, ასევე ზოგადად განათლების სფეროს განვითარებისთვის. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი აღნიშნავს: ,,არ ხდება სახელმწიფო ბიუჯეტის სწორად გასნაზღვრა და საჭიროა, განათლების სფეროში მეტი დაფინანსება. ''

და ბოლოს კვლევის გაანალიზების შედეგად, ნათელი გახდა, კერძო და სახელმწიფო უნივერსიტეტების აკადემიური პერსონალის დამოკიდებულება, უნივერსიტეტებში არსებული, შიდა პოლიტიკის მიმართ. ისინი მიჩნევენ, რომ უნივერსიტეტის შიდა პოლიტიკა ითვალისწინებს, სპეციალურის საჭიროების მქონე პირების განათლებას, თუმცა სამუშაო ამ მიმართულებით ჯერ კიდევ ბევრია. საჭიროა განმავითარებელი ტრენინგები აკადემიური პერსონალის დონეზე სრულად, რაზეც აქტიურად საუბრობენ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისა და საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის წარმომადგენლები, ფიქრობენ, რომ განათლების სამინისტრომ მსგავსი ტრენინგები უნივერსიტეტების დონეზეც უნდა განახორციელოს, რათა აკადემიური პერსონალი მომზადებული იყოს სპეციალური საჭიროების მქონე პირებთან ურთიერთობისთვის და ჰქონდეს ელემენტარული ცოდნა. აღსანიშნავია, რომ განმავითარებელ ტრენინგებს ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში ატარებენ

თბილისის ღია უნივერსიტეტში, სხვა უნივერსიტეტებში კი მსგავსი ღონისძიებები არ ტარდება.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრი (2012) , *ინკლუზიური განათლება.* თბილისი, ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრი.

2. *ინკლუზიური სწავლების ხელშეწყობის პროგრამა,* 2009. პროგრამა შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ ლინკზე : http://mes.gov.ge/upload/multi/geo/1243932215_inkluzia.pdf
(უკანასკნელად გადამოწმებულია 20.05.2019)

3. *შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვები საქართველოში.* 2015. მასალა შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ ლინკზე : http://unicef.ge/uploads/UNICEF_CRPD_GEO_edit.pdf
(უკანასკნელად გადამოწმებულია 20.05.2019)

5. *ინკლუზიურობის მაჩვენებელი საქართველოში* (2013). კვლევა ხელმისაწვდომია შემდეგ საიტზე: http://inclusion.ge/res/docs/201507161349597521.pdf
(უკანასკნელად გადამოწმებულია 20.05.2019)

6. ეროვნული სასწავლო გეგმების პორტალი. *ინკლუზიური განათლება:* სახელმძღვანელო ხელმისაწვდომია შემდეგ საიტზე: http://ncp.ge/ge/inclusive-education/general-part/tavi-v-inkluziuri-ganatleba

(უკანასკნელად გადამოწმებულია 20.05.2019)

7. *ინკლუზიური პროფესიული განათლების გზამკვლევი საქართველოში* 2016. საქართელოს განათლებისა და მეციერების სამინისტრო.

ინფორმაცია ხელმისაწვდომია ლინკზე:

http://inclusion.ge/res/docs/2017031014280188168.pdf

(უკანასკნელად გადამოწმებულია 20.05.2019)

8. *ინკლუზიური განათლების პრაქტიკა საქართველოში.* სამოქალაქო განვითარების ინსტიტუტი. თბილისი, 2016. ინფორმაცია ხელმისაწვდომია ლინკზე: http://cdi.org.ge/uploads/pages/alternative-report-on-the-implementation-of-crpd-education-cdi-geo-91.pdf

(უკანასკნელად გადამოწმებულია : 20.05.2019)

9.,,ინკლუზიური განათლება'' 2011. ინფორმაცია ხელმისაწვდომია ლინკზე: : http://elibrary.emis.ge/uploads/other/119.pdf

(უკანასკნელად გადამოწმებულია 20.05.2019)

10. ზურაბიშვილი, თ. (2006). თვისებრივი მეთოდები სოციალურ კვლევაში (ფონდი OSI_ZUG).

11. ქეცბაია, კ. (2014). *განათლების სოციოლოგია.* უნივერსალი.

12. *For an inclusisive innovation..* European Journal of Futures Research**Volume 6, Issue 1, 1 December 2018, Article number 3,** Department of Philosophy, Social Science and Education, University of Perugia, Perugia, Italy, **Publisher:** Springer Berlin Heidelberg

https://www-scopus-com.lez.tsu.edu.ge:2443/record/display.uri?eid=2-s2.0-85041632487&origin=resultslist&sort=plf-f&src=s&st1=inclusive+&nlo=&nlr=&nls=&sid=32237c198ec748786803ed84262937b5&sot=b&sdt=cl&cluster=scoopenaccess%2c%221%22%2ct%2bscopubyr%2c%222018%22%2ct%2bscosubjabbr%2c%22SOCI%22%2ct%2bscolang%2c%22English%22%2ct&sl=25&s=TITLE-ABS-KEY%28inclusive+%29&relpos=0&citeCnt=0&searchTerm

13. Case studies of inclusive higher education in Norway, Sweden and Slovakia

(Advances in Intelligent Systems and ComputingVolume 776, 2019, Pages 312-323AHFE International Conference on Design for Inclusion, 2018; Orlando; United States; 21 July 2018 through 25 July 2018; Code 215209, ***Publisher:*** *Springer, Cham)*
https://www-scopus-com.lez.tsu.edu.ge:2443/record/display.uri?eid=2-s2.0-85050694832&origin=resultslist&sort=plf-f&src=s&st1=inclusive+education&nlo=&nlr=&nls=&sid=cb86e1cd29b18d94c26470ba0303faeb&sot=b&sdt=cl&cluster=scoopenaccess%2c%221%22%2ct%2bscopubyr%2c%222018%22%2ct%2bscosubtype%2c%22ar%22%2ct%2bscosubjabbr%2c%22SOCI%22%2ct%2bscolang%2c%22English%22%2ct&sl=34&s=TITLE-ABS-KEY%28inclusive+education%29&relpos=5&citeCnt=0&searchTerm

14. University faculty's perceptions and practices of student centered learning in Qatar.

(Journal of Applied Research in Higher EducationVolume 10, Issue 4, 8 October 2018, Pages 514-533, Author(s):Saed Sabah, Xiangyun Du, Publisher:Emerald Publishing Limited.)
https://www-scopus-com.lez.tsu.edu.ge:2443/record/display.uri?eid=2-s2.0-85049498110&origin=resultslist&sort=plf-f&src=s&st1=inclusive+education+in+university&st2=&sid=3b22dd5d2d5483f34e73ac58eeaf220f&sot=b&sdt=b&sl=48&s=TITLE-ABS-KEY%28inclusive+education+in+university%29&relpos=2&citeCnt=0&searchTerm

15. *George J. Sefa Dei. Rescuing Theory: Anti-Racism and Inclusive Education.* Race, Gender & Class, Volume 8, Number 1, 2001: 139-161. *https://www-jstor-org.lez.tsu.edu.ge:2443/stable/pdf/41674965.pdf?refreqid=search%3Afbab68616949ec068e19bbd44db084fd&fbclid=IwAR2ZuzZkvoqAm3SEkZ48Aotfvwk1PrSGqbv_CL7679jLN7kYsefHoeAgDEY*

16. DARE, Published by the European Access Network, UK © 2018 European Access Network".

#დანართი1

სიღრმისეული ინტერვიუს სადისკუსიო გეგმა

დამოკიდებულება ინკლუზიური განათლების სწავლების მოდელი მიმართ

- რას გვეტყვით ინკლუზიური განათლების სწავლების მოდელის შესახებ?
- რამდენად ეფექტურად ხორციელდება ინკლუზიური განათლების პროგრამა საქართველოში?

დამოკიდებულება სპეციალური საჭიროების მქონე პირების მიმართ

- როგორ ფიქრობთ, რამდენად ითვალისწინებს ეროვნული სასწავლო გეგმა სპეციალური საჭიროების მქონე პირებისათვის განათლების ხელმისაწვდომობას? (რამდენად ახერხებენ სპეციალური საჭიროების მქონე პირები საკუთარი შესაძლებლობების რეალიზებას?)
- როგორ ფიქრობთ უნდა სწავლობდნენ თუ არა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში, როგორიცაა უმაღლესი სასწავლებელი?
- როგორია თქვენი პირადი დამოკიდებულება სპეციალური საჭიროების მქონე პირების მიმართ საუნივერსიტეტოს სწავლების პროცესში?

უნივერსიტეტის შიდა პოლიტიკის შეფასება ინკლუზიური განათლების მოდელის მიმართულებით

- როგორ ფიქრობთ რამდენად უწყობს ხელს სახელმწიფო ინკლუზიური განათლების მოდელის დანერგვას უნივერსიტეტებში? (თუ კი, რაში გამოიხატება ეს ? თუ არა- რამ განაპირობა ?და რა უნდა მოიმოქმედოს სახელწიფომ მოდელის ხელშეწყობისათვის?)

- როგორ შეაფასებდით თქვენი უნივერსიტეტის ამჟამინდელ გარემოს სპეციალური საჭიროების მქონე პირებისთვის, რამდენად შეესაბამება სტანდარტებს?
- როგორ ფიქრობთ რას უნდა მიენიჭოს უპირატესობა ინკლუზიური განათლების მოდელის განვითარებაში სახელმწიფო თუ კერძო უნივერსიტეტებში?